

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგება და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა  
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
წლისათვის

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## სარჩევი

---

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოებენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
ფინანსური ანგარიშგება 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6-7
ფინანსურ ანგარიშგებასთან თანდართული შენიშვნები	8-65

## სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველოს („ბანკი“) ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკების ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებული, საიმედო, შესადარი და გასაგები ინფორმაციის არსებობას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების და სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე; და
- ბანკის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ბანკში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის ბანკის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ბანკის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- ბანკის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2015 წლის 6 მარტს.

დირექტორთა საბჭოს სახელით:

აღმასრულებელი დირექტორი  
გუსალ ვერდიევი

6 მარტი, 2015  
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი  
გიორგი მიროტაძე

6 მარტი, 2015  
თბილისი, საქართველო

## **დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველოს აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს:

### **დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ**

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველოს („ბანკი“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის და ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

### **ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ბანკის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, და შიდა კონტროლის სისტემის უზრუნველყოფაზე, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ მიიჩნევა აუცილებლად ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა**

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოეთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. ამ რისკების შეფასებისას არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ბანკის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული დაშვებების შესაფერისობისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

### **დასკვნა**

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

6 მარტი, 2015

თბილისი, საქართველო

**საქართველოს საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო**

**მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება  
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ლარში)**

	შენიშვნა	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საპროცენტო შემოსავალი	5	45,276,367	36,646,833
საპროცენტო ხარჯი	5	(8,664,545)	(6,400,649)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯამდე		36,611,822	30,246,184
საპროცენტო შემოსავლების მქონე აქტივების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯი	6	(4,036,287)	(627,355)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		32,575,535	29,618,829
ზარალი მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებულ ფინანსურ ვალდებულებებზე		(172,936)	-
წმინდა მოგება სავალუტო ოპერაციებზე	7	697,084	115,821
საკომისიო შემოსავლები		71,333	419
საკომისიო ხარჯები		(28,510)	(84,392)
სხვა შემოსავლები	8	349,984	117,493
წმინდა არასაპროცენტო შემოსავალი		916,955	149,341
საოპერაციო შემოსავალი		33,492,490	29,768,170
პერსონალის ხარჯები	9	(13,872,772)	(11,418,372)
ცვეთა და ამორტიზაცია	16, 18	(2,883,710)	(905,317)
არამატერიალური აქტივების გაუფასურება	18	(714,846)	-
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(10,103,820)	(7,810,923)
წმინდა მოგება მოგების გადასახადამდე		5,917,342	9,633,558
მოგების გადასახადის ხარჯი	11	(914,955)	(1,489,588)
წმინდა მოგება პერიოდისათვის		<b>5,002,387</b>	<b>8,143,970</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი წლისთვის		<b>5,002,387</b>	<b>8,143,970</b>

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

აღმასრულებელი დირექტორი  
გუსალ ვერდიევი

6 მარტი, 2015  
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი  
გიორგი მიროტაძე

6 მარტი, 2015  
თბილისი, საქართველო

8-65 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
<b>აქტივები:</b>			
ფული და ფულის ექვივალენტები	12	11,980,176	9,264,951
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში		4,973,061	4,228,012
მოთხოვნები ბანკების მიმართ	13	-	10,678,245
კლიენტებზე გაცემული სესხები	14	130,657,936	110,377,084
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	15	2,577,153	-
ძირითადი საშუალებები	16	2,876,806	2,253,067
გადავადებული საგადასახადო აქტივები	11	399,859	103,761
არამატერიალური აქტივები	18	2,497,091	2,657,687
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		-	343,445
სხვა აქტივები	17	807,323	637,345
<b>სულ აქტივები</b>		<b>156,769,405</b>	<b>140,543,597</b>
<b>ვალდებულებები და კაპიტალი</b>			
<b>ვალდებულებები:</b>			
მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები	19	162,586	-
ბანკების დეპოზიტები	20	4,924,135	-
კლიენტების დეპოზიტები	21	5,528,515	-
ნასესხები სახსრები	22	93,610,283	88,994,249
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		210,225	-
სხვა ვალდებულებები	23	1,122,707	1,422,374
სუბორდინირებული სესხი	24	12,370,034	11,977,532
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>117,928,485</b>	<b>102,394,155</b>
<b>კაპიტალი:</b>			
სააქციო კაპიტალი	25	20,213,600	20,213,600
გაუნაწილებელი მოგება		18,627,320	17,935,842
<b>სულ კაპიტალი</b>		<b>38,840,920</b>	<b>38,149,442</b>
<b>სულ ვალდებულებები და კაპიტალი</b>		<b>156,769,405</b>	<b>140,543,597</b>

დირექტორთა საბჭოს სახელით:

ადმინისტრაციული დირექტორი  
ვუსალ ვერდიევი

6 მარტი, 2015  
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი  
გიორგი მირიჭაძე

6 მარტი, 2015  
თბილისი, საქართველო

8-65 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ლარში)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
<b>1 იანვარი, 2013</b>		<b>8,210,400</b>	<b>13,191,701</b>	<b>21,402,101</b>
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	25	12,003,200	-	12,003,200
სულ წლის სრული შემოსავალი		-	8,143,970	8,143,970
გამოცხადებული დივიდენდები	25	-	(3,399,829)	(3,399,829)
<b>31 დეკემბერი, 2013</b>		<b>20,213,600</b>	<b>17,935,842</b>	<b>38,149,442</b>
სულ წლის სრული შემოსავალი		-	5,002,387	5,002,387
გამოცხადებული დივიდენდები	25	-	(4,310,909)	(4,310,909)
<b>31 დეკემბერი, 2014</b>		<b>20,213,600</b>	<b>18,627,320</b>	<b>38,840,920</b>

დირექტორთა საბჭოს სახელით:

ადმინისტრაციული დირექტორი  
გუსალ ვერდიევი

6 მარტი, 2015  
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი  
გიორგი მირთაძე

6 მარტი, 2015  
თბილისი, საქართველო

8-65 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## საქართველოს საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ლარიში)

	შენიშვნა	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
<b>ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან:</b>			
წლის მოგება		5,002,387	8,143,970
უნაღლო ერთეულების კორექტირება:			
გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯი			
საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე	6	4,036,287	627,355
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული (მოგება)/ზარალი		8,104	8,022
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება, წმინდა	7	(311,791)	26,871
ზარალი მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებზე		172,936	
დარიცხული პროცენტის ცვლილება, წმინდა		(265,489)	(507,662)
ცვეთა და ამორტიზაცია	16,18	2,883,710	905,317
არამატერიალური აქტივების გაუფასურება	18	714,846	-
მოგება-ზარალში აღიარებული მოგების გადასახადის ხარჯი	11	914,955	1,489,588
<b>ფულადი სახსრების შემოდინება საოპერაციო საქმიანობიდან, საოპერაციო აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებამდე</b>		13,155,945	10,693,461
<b>(ზრდა)/კლება საოპერაციო აქტივებში:</b>			
მოთხოვნები ბანკების მიმართ		11,000,945	(804,313)
სავალდებულო რეზერვი საქართველოს ეროვნულ ბანკში		(745,049)	(4,228,012)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(19,624,503)	(27,149,712)
სხვა აქტივები		(169,981)	(88,728)
<b>ზრდა/(კლება) საოპერაციო ვალდებულებებში:</b>			
მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები		(10,350)	-
კლიენტების დეპოზიტები		5,437,513	-
ბანკების დეპოზიტები		4,882,254	-
სხვა ვალდებულებები		(299,667)	544,937
<b>ფულადი სახსრების შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან დაბეგვრამდე</b>		13,627,107	(21,032,367)
<b>გადახდილი მოგების გადასახადი</b>		(657,383)	(1,783,911)
<b>ფულადი სახსრების წმინდა შემოდინება/(გადინება) საოპერაციო საქმიანობიდან</b>		12,969,724	(22,816,278)



**სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო**

**ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში (გაბრუნება)  
2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
(ათასობით ლარში)**

**ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო**

**საქმიანობიდან:**

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(4,071,108)	(4,069,288)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	1,305	2,455
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების შეძენა	(2,495,964)	-
<b>ფულადი სახსრების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან</b>	<b>(6,565,767)</b>	<b>(4,066,833)</b>

**ფულადი სახსრების მოძრაობა საფინანსო საქმიანობიდან:**

ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	12,003,200
ჩვეულებრივ აქციებზე გადახდილი დივიდენდები	25	(4,310,909)
ნაესხები სახსრებიდან მიღებული ფულადი სახსრები		65,029,089
ნაესხები სახსრების დაფარვა		(64,523,271)
<b>წმინდა ფულადი სახსრების შემოდინება საფინანსო საქმიანობიდან</b>	<b>(3,805,091)</b>	<b>29,934,561</b>

გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად სახსრებზე		116,359	-
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		2,715,225	3,051,450
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის დასაწყისი	12	9,264,951	6,213,501
ფული და ფულის ექვივალენტები, წლის ბოლო	12	11,980,176	9,264,951

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ბანკის მიერ გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 8,458,010 და 44,417,650 ლარი.

2013 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ბანკის მიერ გადახდილმა და მიღებულმა პროცენტმა შესაბამისად შეადგინა 6,281,868 და 35,855,076 ლარი.

**დირექტორთა საბჭოს სახელით:**

ადმინისტრაციული დირექტორი  
გუსალ ვერდიევი

6 მარტი, 2015  
თბილისი, საქართველო

ფინანსური დირექტორი  
გიორგი მიროტაძე

6 მარტი, 2015  
თბილისი, საქართველო

8-65 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები  
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
 (ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## 1. ორგანიზაცია

სს ფინკა ბანკი საქართველო („ბანკი“) არის დახურული სააქციო საზოგადოება, რომელიც საქართველოში, თბილისში რეგისტრირებულია 2007 წლის 20 დეკემბერს, სარეგისტრაციო ნომრით 205235262. 2013 წლის 6 აგვისტომდე ბანკის საქმიანობას არეგულირებდა საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“). ამავე პერიოდში ბანკი საქმიანობას წარმართავდა მიკროსაფინანსო საქმიანობის შესახებ კანონის შესაბამისად. 2013 წლის 6 აგვისტოს ბანკმა საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიიღო საბანკო ლიცენზია და დაიწყო სრულ საბანკო საქმიანობაზე გადასვლის პროცესი. ბანკის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მიკრო და მცირე სესხების გაცემა ფიზიკურ პირებს. ბანკი საქმიანობას წარმართავს ზოგადი საბანკო ლიცენზიის №252 შესაბამისად. სესხები გაცივდა როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ ვალუტაში.

სს "ფინკა ბანკი საქართველო" 100%-ის მფლობელია "ფინკა მიკროფინანს კოოპერატივი" (კოოპერატივი, დარეგისტრირებული ნიდერლანდებში ამსტერდამის სავაჭრო პალატის სავაჭრო ნიშნით 53004698 და ოფიციალური ადგილით ამსტერდამში ("კოოპერატივი").

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კოოპერატივის წევრები იყვნენ:

1. აშშ დელავერის შტატის კანონმდებლობით რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია "ფინკა მაიკროფინანს ჰოლდინგ კომპანი", რომლის იურიდიული მისამართია: 2711, სენტერვილ როუდი, 400, უილმინგტონი, დელავერი 19808, აშშ. აღნიშნული ორგანიზაცია ფლობს 99 ხმის უფლებას როგორც კოოპერატივის ა წევრი და 1 ხმის უფლებას, როგორც კოოპერატივის ბ წევრი.
2. აშშ მერილენდის შტატის კანონმდებლობით რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია "ფინკა ინთერნეიშენალი", რომლის იურიდიული მისამართია: 11, ისტ ჩეიზ სტრიტი, ბალტიმორი, მერილენდი 21202, აშშ. აღნიშნული ორგანიზაცია ფლობს 1 ხმის უფლებას, როგორც კოოპერატივის ბ წევრი.

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71, 0186.

ბანკს გააჩნია 40 (2013: 36) სერვის ცენტრი საქართველოში. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის დაქირავებული თანამშრომლები შეადგენდნენ 739 ადამიანს (2013: 642 ადამიანს).

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით "ფინკა მაიკროფინანს ჰოლდინგ კომპანის" აქციონერებს წარმოადგენდნენ:

	31 დეკემბერი, 2014, %	31 დეკემბერი, 2013, %
<b>პირველი დონის აქციონერები/გამოშვებული სააქციო კაპიტალის მფლობელები:</b>		
FINCA International Inc.	60.30	60.30
International Finance Corporation	15.00	15.00
KfW	9.60	9.60
Nederlandse Financierings Maatschappij voor Ontwikkelingslanden N.V	7.90	7.90
Credit Suisse Microfinance Fund Management Company	3.20	3.20
Triple Jump (ASN-NOVIB FONDS)	1.80	1.80
Triodos Investment Management	2.20	2.20
<b>სულ</b>	<b>100%</b>	<b>100%</b>

"ფინკა ინთერნეიშენალი", დაფუძნებულია ვაშინგტონში და წარმოადგენს მიკროსაფინანსო ინსტიტუტების ქსელს, რომელსაც ფილიალები/შვილობილი კომპანიები გააჩნია მსოფლიოს 23 ქვეყანაში.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

"ფინკა ინთერნეშენალი" არის აშშ კანონმდებლობით მოქმედი არაკომერციული კორპორაცია და როგორც ასეთი, მისი წევრები არ ფლობენ წილს კომპანიაში და, შესაბამისად, არ გააჩნიათ ეკონომიკური უფლებები. 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, "ფინკა ინთერნეშენალის" წევრები არიან: რუპერტ სკოფილდი, ჯონ ჰეტჩი, რობერტ ჰეტჩი, რიჩარდ უილიამსონი.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულ იქნა გამოსაშვებად 2015 წლის 6 მარტს ბანკის დირექტორთა საბჭოს მიერ.

## 2. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები

### შესაბამისობის ანგარიში

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ("ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში გაარქელებს მუშაობას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე. ისტორიული ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ მიღებული საფასურის რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებაში სათანადო ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის გაზომვის დღეს იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას ბანკი ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

ბანკი რეგისტრირებულია საქართველოში და სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული, კანონით განსაზღვრული საბუღალტრო ჩანაწერებიდან და კორექტირებულია ფასს-ის მიხედვით.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს წარადგენს ლიკვიდობის მიხედვით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში (მიმდინარე) ან 12 თვეზე მეტი დროის განმავლობაში (გრძელვადიანი) აღდგენის ან ანგარიშსწორების ანალიზი წარმოდგენილია 30-ე შენიშვნაში.

### ფუნქციონალური ვალუტა

ბანკის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ბანკი ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). ბანკის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ბანკის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

### ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბანკს აქვს იურიდიული უფლება, მოახდინოს აღიარებული თანხების ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს, აქტივები ურთიერთჩათვალოს წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და დაფაროს ვალდებულებები. ბანკი მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში არ ქვითავს შემოსავლებსა და ხარჯებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გაქვითვა მოითხოვება რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, ან ბანკის ბუღალტრული პოლიტიკით.

ქვემოთ წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკები.

### საპროცენტო შემოსავლების და ხარჯების აღიარება

ფინანსური აქტივებისგან მიღებული საპროცენტო სარგებლის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა, რომ ბანკი მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შემოსავლის შეფასება შესაძლებელია საკმარისი სიზუსტით. საპროცენტო შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომლის საშუალებით გამოითვლება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების და ან ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულება და საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი ნაწილდება შესაბამის პერიოდზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც ახდენს მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინების (იმ გადახდილი ან მიღებული მოსაკრებლების ჩათვლით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯებისა და სხვა პრემიუმისა თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს) დისკონტირებას ფინანსური აქტივის სავარაუდო სასარგებლო მოხმარების პერიოდის ამოწურვამდე. (ან კონტექსტის მიხედვით), უფრო მოკლე ვადაში, თავდაპირველად აღიარებულ წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

მას შემდეგ, რაც ფინანსური აქტივი ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფი ჩამოიწერება (ნაწილობრივ ჩამოიწერება) გაუფასურების შედეგად მიღებული დანაკარგების გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება იმ საპროცენტო განაკვეთით ხორციელდება, რომელიც გაუფასურების დანაკარგების დადგენის მიზნით მოსალოდნელი ფულადი სახსრების დისკონტირებისათვის გამოიყენება.

რეალური ღირებულებით აღიარებული აქტივებისგან მიღებული პროცენტი კლასიფიცირდება, როგორც საპროცენტო შემოსავალი.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## საკომისიო შემოსავლების აღიარება

სესხის გაცემის საკომისიო გადავადდება სესხთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღიარდება, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. როდესაც სავარაუდოა, რომ სასესხო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სასესხო ვალდებულების საკომისიო გადავადდება შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად და აღირიცხება, როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. თუ სავარაუდო არ არის, რომ სასესხო ვალდებულება გამოიწვევს კონკრეტული სასესხო ხელშეკრულების გაფორმებას, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში სასესხო ვალდებულების მოქმედების დარჩენილი პერიოდის განმავლობაში. როდესაც სასესხო ვალდებულების მოქმედების ვადა იწურება სასესხო ხელშეკრულების გაფორმების გარეშე, სასესხო ვალდებულების საკომისიოს აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში ვადის ამოწურვის დღეს. ყველა სხვა საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურების გაწევისას.

## ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ხდება მაშინ, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის შესყიდვისა და გაყიდვის აღიარება ხორციელდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით. რეგულარული ხასიათის შესყიდვა-გაყიდვა არის ფინანსური აქტივების ისეთი შესყიდვა-გაყიდვა, რომელიც მოითხოვს აქტივის მიწოდებას ბაზარზე დადგენილი წესით ან შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოშვებას (მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა და ზარალში.

## ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: ფულად და ფულის ექვივალენტებად, სავალდებულო რეზერვებად სებ-ში, „დაფარვის ვადაზე ფლობილ“ ინვესტიციებად, „მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებად, და „სესხებად და მოთხოვნებად“. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

## ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტებს შეადგენს ნაღდი ფული, საქართველოს ეროვნულ ბანკში („სებ“) განთავსებულ საკორესპონდენტო და ვადიან დეპოზიტებზე არსებული შეუზღუდავი ნაშთები, რომელთა საწყისი დაფარვის ვადა განისაზღვრებოდა 90 დღით ან ნაკლებით და, საკრედიტო დაწესებულებებისგან მისაღები თანხები, რომელთა საწყისი დაფარვის ვადა განისაზღვრებოდა 90 დღით ან ნაკლებით. ფული და ფულის ექვივალენტები საკონტრაქტო ვალდებულებებისგან თავისუფალია.

## სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში (სებ) აისახება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს საპროცენტო სარგებლის არმქონე სავალდებულო რეზერვს, რომელიც არ გამოიყენება ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში და შესაბამისად არ განიხილება ფულისა და ფულის ექვივალენტების შემადგენლობაში ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ფარგლებში.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ასახვა ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ხდება მაშინ, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე შესაბამის ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეგულარული ხასიათის შესყიდვისა და გაყიდვის აღიარება ხორციელდება ანგარიშსწორების თარიღის მდგომარეობით. რეგულარული ხასიათის შესყიდვა-გაყიდვა არის ფინანსური აქტივების ისეთი შესყიდვა-გაყიდვა, რომელიც მოითხოვს აქტივის მიწოდებას ბაზარზე დადგენილი წესით ან შეთანხმებით გათვალისწინებულ ვადებში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით. გარიგების ღირებულება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვას და გამოსვლას (მოგებასა და ზარალში რეალური ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა) ემატება, ან აკლდება ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებას. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შესყიდვასა და გამოსვლასთან დაკავშირებული გარიგების ღირებულება დაუყოვნებლივ აისახება მოგებასა და ზარალში.

### ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად: „მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებად, „დაფარვის ვადაზე ფლობილ“ ინვესტიციებად „გასაყიდად არსებულ“ ფინანსურ აქტივებად და „სესხებად და მოთხოვნებად“. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივების სპეციფიკასა და დანიშნულებაზე და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ბანკის ძირითად ფინანსურ აქტივებს წარმოადგენს ფული და ფულის ექვივალენტები, სებ-ში არსებული სავალდებულო რეზერვი, მოთხოვნები ბანკების მიმართ და სესხები და მოთხოვნები.

### ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტებს შეადგენს ნაღდი ფული, საქართველოს ეროვნულ ბანკში („სებ“) განთავსებულ საკორესპონდენტო და ვადიან დეპოზიტებზე არსებული შეუზღუდავი ნაშთები, რომელთა საწყისი დაფარვის ვადა განისაზღვრებოდა 90 დღით ან ნაკლებით და, საკრედიტო დაწესებულებებისგან მისაღები თანხები, რომელთა საწყისი დაფარვის ვადა განისაზღვრებოდა 90 დღით ან ნაკლებით. ფული და ფულის ექვივალენტები საკონტრაქტო ვალდებულებებისგან თავისუფალია.

### სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში (სებ) აისახება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს საპროცენტო სარგებლის არმქონე სავალდებულო რეზერვს, რომელიც არ გამოიყენება ბანკის ყოველდღიურ საქმიანობაში და შესაბამისად არ განიხილება ფულისა და ფულის ექვივალენტების შემადგენლობაში ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების ფარგლებში.

### დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებითა და დაფარვის ფიქსირებული ვადით, რომელთა შენარჩუნება დაფარვამდე ბანკს განზრახული აქვს და ეს მის შესაძლებლობებს შეესაბამება. დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების გამოკლებით.

თუ ბანკი გადაწყვეტს, დაფარვის ვადის დადგომამდე გაყიდოს ან გადააკლასიფიციროს დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციების ასე თუ ისე მნიშვნელოვანი ნაწილი (თუ ეს არ ხდება კონკრეტულ სპეციფიკურ ვითარებაში), ეს ქმედება გავრცელდება მთელ კატეგორიაზე. ასეთ შემთხვევაში გაუყიდავად დარჩენილი ნაწილი უნდა

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გადაკლასიფიცირდეს გასაყიდად არსებულ აქტივებად. გარდა ამისა, ბანკს აეკრძალება ნებისმიერი ფინანსური აქტივის კლასიფიცირება დაფარვის ვადამდე ფლობილად მიმდინარე და მომდევნო ორი ფინანსური წლის განმავლობაში.

### **მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები**

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებად, თუ ფინანსური აქტივი განისაზღვრება როგორც სავაჭროდ განკუთვნილი, ან მოგებაში ან ზარალში ასახულია რეალური ღირებულებით.

ფინანსური აქტივები განისაზღვრება როგორც სავაჭროდ განკუთვნილი იმ შემთხვევაში, თუ:

- შესყიდულია ახლო მომავალში გაყიდვის მიზნით; ან
- თავდაპირველი აღიარებისას წარმოადგენს იდენტიფიცირებადი ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილს, რომლებიც ერთად იმართება და არსებობს მათგან მოკლევადიანი მოგების მიღების ობიექტური მაჩვენებელი; ან
- განეკუთვნება წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს იმ შემთხვევის გარდა, როდესაც წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს გააჩნიათ ჰეჯირების ინსტრუმენტის დანიშნულება.

მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება რეალური ღირებულებით შემდგომი შეფასების ნებისმიერი მოგება ან ზარალის მოგებაში ან ზარალში აღირიცხვით. წმინდა მოგება ან ზარალის აღიარება მოიცავს ნებისმიერ საპროცენტო სარგებელს ფინანსურ აქტივებზე.

### **სესხები და მოთხოვნები**

სავაჭრო მოთხოვნები, სესხები და სხვა მოთხოვნები განსაზღვრული ან ფიქსირებული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე (მათ შორის ბანკების მიმართ მოთხოვნების ნაშთები, კლიენტების დეპოზიტები და სხვა ფინანსური აქტივები), კლასიფიცირდება როგორც „სესხები და მოთხოვნები“. სესხები და მოთხოვნები გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავალი აღიარებას ექვემდებარება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით გარდა იმ მოკლევადიანი მოთხოვნების პროცენტისა, რომელიც არ არის არსებითი.

მოგება-ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გარდა სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურების საფუძვლის შეფასება ხდება ანგარიშგების თითოეული პერიოდის ბოლოსათვის. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება, როდესაც ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ არსებობს იმის ობიექტური საფუძველი, რომ ერთი, ან რამდენიმე გარემოება გავლენას ახდენს ინვესტიციებიდან მოსალოდნელი ფულადი სახსრების შემოდინებაზე.

გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლები მოიცავს:

- გამომშვების ან კონტრაგენტის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს; ან
- ხელშეკრულების დარღვევას, რაც გულისხმობს პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადახდისუუნარობას, ან თავის არიდებას; ან
- პროცენტის, ან ძირითადი თანხის გადაუხდელობას;
- მსესხებლის გაკოტრებას, ან ფინანსურ რეორგანიზაციას; ან
- ფინანსური სირთულეების გამო ფინანსური აქტივის მოქმედი ბაზრის გაუქმებას.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური აქტივების გარკვეული კატეგორიის შემთხვევაში, მაგალითად როგორცაა სესხები და მოთხოვნები, აქტივები, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის გაუფასურებული, დამატებით ფასდება ჯგუფური გაუფასურების თვალსაზრისით. სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური საფუძველი მოიცავს ბანკის წარსულ გამოცდილებას გადახდებთან მიმართებაში, პორტფელში ვადაგადაცილებული გადახდების რაოდენობის ზრდასა და ეროვნული, ან ადგილობრივი ეკონომიკური პირობების თვალსაზრისით ცვლილებებს, რომლებიც პირდაპირ კავშირშია მოთხოვნების ამოღების შეუძლებლობასთან.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების დანაკარგებით გარდა სესხებისა და მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების ანგარიშის გამოყენებით. როდესაც სესხის, ან მოთხოვნის ამოღების შესაძლებლობა ამოწურულია იგი ჩამოიწერება სარეზერვო ანგარიშის გამოყენებით. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა აისახება რეზერვის ანგარიშზე. გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების ანგარიშის ცვლილება აისახება მოგებასა და ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ გაუფასურების ხარჯი შემდგომ პერიოდში შემცირდა და ეს კლება ობიექტურად შეიძლება უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება ადრე აღრიცხული გაუფასურების ხარჯის გაუქმება მოგება-ზარალში ისე, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების ხარჯის გაუქმების შემდეგ არ აჭარბებდეს ამორტიზებულ ღირებულებას გაუფასურების აღიარების გარეშე.

### **სესხები, კონტრაქტის შეცვლილი პირობებით**

სადაც შესაძლებელია ბანკი ცდილობს უზრუნველყოფის დასაკუთრების მაგივრად მოახდინოს სესხის რესტრუქტურისა. ეს შეიძლება მოიცავდეს გადახდის გრაფიკის გაზრდასა და ახალი სესხის პირობებზე შეთანხმებას. პირობების შეცვლის შემდეგ ნებისმიერი გაუფასურება ფასდება თავდაპირველი საპროცენტო გადააკვეთის გამოყენებით, როგორც გამოითვლებოდა პირობების მოდიფიკაციამდე და სესხი აღარ ითვლება გადავადებულად. ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს სესხებს რომელთა პირობები შეიცვალა, რათა უზრუნველყოს კრიტერიუმებთან შესაბამისობა და მომავალში გადახდების დაწყება. სესხები კვლავ ექვემდებარება ინდივიდუალურ ან ჯგუფურ შეფასებას გაუფასურების თვალსაზრისით, რაც გამოითვლება სესხის თავდაპირველი საპროცენტო განაკვეთით.

### **სესხებისა და მოთხოვნების ჩამოწერა**

სესხებისა და მოთხოვნების ამოღების შეუძლებლობის შემთხვევაში, მათი ჩამოწერა ხდება სესხების გაუფასურების დანაკარგის რეზერვის გამოყენებით. სესხები და ავანსები ექვემდებარება ჩამოწერას საბალანსო ანგარიშებიდან მაგრამ კვლავ რჩება გარესბალანსო ანგარიშებზე და ამოღების პროცესი მიმდინარეობს მანამ სანამ ხელმძღვანელობა არ ამოწურავს ყველა შესაძლებლობას. წინა პერიოდში ჩამოწერილი თანხების აღდგენა ხდება ფინანსური აქტივების გაუფასურების გაქვითვით და მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღდგენის პერიოდში აისახება.

### **ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა**

ბანკის ფინანსური აქტივების აღიარება შეწყდება, როდესაც აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლების კონტრაქტით გათვალისწინებული ვადა ამოიწურა, ან თუ ბანკმა სხვა საწარმოს გადასცა ფინანსური აქტივები და შესაბამისად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და შემოსავლები. თუ ბანკი არც გადასცემს და



# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

არც იტოვებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, იგი აღიარებს აქტივში შენარჩუნებულ მონაწილეობას და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებას შესაძლო გადასახდელი თანხის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ბანკი იტოვებს გადაცემულ ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და შემოსავლებს, იგი აგრძელებს ფინანსური აქტივის და მიღებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილი სესხების აღიარებას.

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები ან სხვა ფინანსური ვალდებულებები

### **მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები**

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებად, თუ ფინანსური ვალდებულება განისაზღვრება როგორც სავაჭროდ განკუთვნილი, ან მოგებაში ან ზარალში ასახულია რეალური ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულება განისაზღვრება როგორც სავაჭროდ განკუთვნილი იმ შემთხვევაში, თუ:

- აღებულია ახლო მომავალში გამოსყიდვის მიზნით; ან
- თავდაპირველი აღიარებისას წარმოადგენს იდენტიფიცირებადი ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ნაწილს, რომლებიც ერთად იმართება და არსებობს მათგან მოკლევადიანი მოგების მიღების ობიექტური მაჩვენებელი; ან
- განკუთვნილია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს იმ შემთხვევის გარდა, როდესაც წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს გააჩნიათ ჰეჯირების ინსტრუმენტის დანიშნულება.

### **სხვა ფინანსური ვალდებულებები**

სხვა ფინანსური ვალდებულებები, მათ შორის, ბანკების დეპოზიტები, კლიენტების დეპოზიტები, ნასესხები სახსრები, სუბორდინირებული სესხი და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აისახება რეალური ღირებულებით გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით.

სხვა ფინანსური ვალდებულებების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ხოლო საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური უკუგების საფუძველზე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი წარმოადგენს მეთოდს, რომელიც გამოიყენება სხვა ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულების გამოსათვლელად და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო ხარჯის გასანაწილებლად. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ზუსტად ახდენს მოსალოდნელი ფულადი გადახდების (გადახდილი ან მიღებული ყველა იმ საკომისიოს ჩათვლით, რომელიც შეადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯებისა და სხვა პრემიუმებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს) დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე ფინანსური ვალდებულების მოხმარების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან სადაც მართებულია, უფრო მოკლე ვადაში.

### **ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

ბანკი ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით,

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ან არსებული ვალდებულებების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება, ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

### წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ბანკი კონტრაქტორ ბანკებთან აფორმებს დეპოზიტის ხელშეკრულებებს რათა მოახდინოს ვალუტების გაცვლა. ამგვარი დეპოზიტები, მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულად დამოუკიდებელია, გროვდება ერთად და აღირიცხება, როგორც ერთი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი (სავალუტო სვოპი) წმინდა პოზიციით, სადაც (ა) დეპოზიტების ხელშეკრულება დადებულია ერთსა და იმავე დროს და მიზნებისათვის. (ბ) ჰყავთ ერთი და იგივე კონტრაგენტი; (გ) უკავშირდებიან ერთი და იმავე რისკს და (დ) არ არსებობს რაიმე ცალსახა ბიზნეს მიზანი ტრანზაქციების დამოუკიდებლად განხორციელებისთვის, რომლის მიღწევაც არ შეიძლება ერთი ტრანზაქციის გზით.

წარმოებული ინსტრუმენტების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით წარმოების ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის და შემდგომში ხდება მათი ხელახალი შეფასება რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის. შეფასების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ.

### ბანკი, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარის გადახდები ხარჯად აღიარდება წრფივ საფუძველზე საიჯარო პერიოდის განმავლობაში. ეს არ ეხება შემთხვევებს, როდესაც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სტრუქტურას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს. საოპერაციო ლიზინგის გამო წარმოშობილი გაუთვალისწინებელი იჯარა აღიარდება როგორც ხარჯი ამ ხარჯის გაწევის პერიოდში.

იმ შემთხვევაში, თუ საოპერაციო იჯარის გასაფორმებლად გათვალისწინებულია შეღავათები, ხდება მათი, როგორც ვალდებულებების აღიარება. შეღავათების ჯამური სარგებელი აღიარდება ხარჯად წრფივ საფუძველზე. ეს არ ეხება შემთხვევებს, როდესაც იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური სარგებლის მოხმარების დროით სტრუქტურას სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უკეთ წარმოადგენს.

### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვეთა აღიარებულია ისე, რომ ჩამოიწეროს ღირებულება მათი სასარგებლო მოხმარების პერიოდის მანძილზე. ცვეთა იანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი სასარგებლო გამოყენების წლების გათვალისწინებით:

	წლები
ავეჯი და ინვენტარი	3-5
საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობები	3-6
ტრანსპორტი	5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად
სხვა	2-5

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა ამორტიზირდება იჯარით აღებული ქონების სასარგებლო მოხმარების ვადის განმავლობაში. შეკეთებასა და განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარდება გაწევისთანავე და წარმოადგენს საოპერაციო ხარჯებს, ან ექვემდებარება კაპიტალიზაციას, თუ არსებობს ამის საკმარისი საფუძველი.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველ საანგარიშო დღეს იმის შემოწმების მიზნით, ხომ არ არის საშუალება აღრიცხული ამოღებად თანხაზე მეტი თანხით. ამოღებადი თანხა არის უმეტესი ერთი მხრივ, რეალური ღირებულებისა და გაყიდვის ხარჯების სხვაობას, და მეორე მხრივ, გამოყენებულ ღირებულებას შორის. თუ საბალანსო ღირებულება აჭარბებს სავარაუდო ამოღებად თანხას, ხდება აქტივების ჩამოწერა ამოღებად თანხამდე; გაუფასურება აღიარდება შესაბამის პერიოდში და შედის საოპერაციო ხარჯებში. გაუფასურების დანაკარგის აღიარების შემდეგ, ძირითად საშუალებებზე დარიცხული ცვეთა კორექტირდება მომავალ პერიოდებში აქტივების შესწორებული საბალანსო ღირებულებისა და მისი ნარჩენი ღირებულების (თუ ასეთი არსებობს) სხვაობის გადასანაწილებლად მოხმარების სასარგებლო ვადის განმავლობაში.

ძირითადი საშუალება ჩამოიწერება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში, თუ მათი გამოყენების შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. ძირითადი საშუალებების ერთეულების გაყიდვით ან ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგებასა და ზარალში.

### არამატერიალური აქტივები

#### ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით. ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი ექსპლუატაციის ვადის მიხედვით. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის დაშვებებში ნებისმიერი ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით. სარგებლობის განუსაზღვრელი ვადის მქონე, ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების შედეგად მიღებული ზარალის გამოკლებით. არამატერიალური აქტივები ფასდება გაუფასურებაზე, როცა არსებობს ამის ინდიკატორი.

#### არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა

არამატერიალური აქტივი ჩამოიწერება რეალიზაციისას, ან იმ შემთხვევაში თუ მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად არ ივარაუდება მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. არამატერიალური აქტივის ჩამოწერით მიღებული მოგება ან ზარალი წარმოადგენს სხვაობას რეალიზაციის შედეგად მიღებულ წმინდა ფულად სახსრებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, რომელიც აისახება მოგებასა და ზარალში აქტივის რეალიზაციისას.

#### მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ჩვეული საქმიანობის პროცესში ბანკი განიხილავს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს, ამ აქტივების გაუფასურების ობიექტური მაჩვენებლების გამოვლენის მიზნით. ასეთი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, აქტივის აღდგენითი ღირებულება ფასდება გაუფასურების მასშტაბების განსაზღვრისათვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ინდივიდუალური აქტივის აღდგენითი ღირებულების დადგენა ბანკი განსაზღვრავს იმ ფულადი სახსრების გენერირების ერთეულის აღდგენით ღირებულებას, რომელსაც განეკუთვნება აქტივი. განაწილების მართებული და თანმიმდევრული საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კორპორატიული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების გენერირების ინდივიდუალურ ერთეულებზე, ან ამ ერთეულების უფრო პატარა ჯგუფებზე, რომელთა მართებული განაწილების საფუძველი არსებობს.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

განუსაზღვრელი სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივები და გამოსაყენებლად ჯერ არახელმისაწვდომი არამატერიალური აქტივები გაუფასურების დასადგენად მოწმდება სულ მცირე ყოველწლიურად და ნებისმიერ დროს, როცა არსებობს გაუფასურების ინდიკატორი.

აღდგენითი ღირებულება არის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები და სამომხმარებლო ღირებულებას შორის უმეტესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები დღევანდელ ღირებულებამდე ექვემდებარება დისკონტირებას გადასახადამდე არსებული საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ასახავს არსებული ბაზრის შეფასებას ფულის ღირებულებით დროში და ითვალისწინებს აქტივისათვის დამახასიათებელ რისკებს, რომელთა საფუძველზე მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების კორექტირება არ განხორციელებულა.

იმ შემთხვევაში, თუ აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) ღირებულება მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებია აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის აღდგენით ღირებულებამდე. გაუფასურების დანაკარგები აღიარებას ექვემდებარება დაუყოვნებლივ მოგებასა და ზარალში.

გაუფასურების დანაკარგის გაუქმების შემთხვევაში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება გაუქმებული თანხით ისე, რომ გაზრდილმა საბალანსო ღირებულებამ არ გადააჭარბოს ნარჩენ ღირებულებას, რომლის აღიარებას ადგილი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში აქტივის (ან ფულის გენერირების ერთეულის) გაუფასურების დანაკარგების აღიარება არ მომხდარიყო. გაუფასურების დანაკარგის გაუქმება ხდება დაუყოვნებლივ მოგებასა და ზარალში.

### გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგებს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადის ჯამს.

### მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი გამოითვლება წლის დასაბეგრი მოგებიდან. დასაბეგრი მოგება განსხვავდება წმინდა მოგებისაგან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშში, ვინაიდან ის არ მოიცავს შემოსავლებისა და ხარჯების იმ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას წინა წლებში და აგრეთვე იმ ხარჯებს, რომელიც საერთოდ არ ექვემდებარება დაბეგვრას ან გამოქვითვას. ბანკის მიმდინარე გადასახადის ხარჯი გაანგარიშებულია იმ საგადასახადო განაკვეთით, რომლებიც მოქმედებდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

### გადავადებული გადასახადი

გადავადებული გადასახადი არის გადასახდელი ან გასაქვითი გადასახადი, რომელიც მოსალოდნელია წარმოიქმნას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივების და ვალდებულებების ნარჩენ ღირებულებათა შორის სხვაობაზე შესაბამის დასაბეგრ ბაზაზე, რომელიც გამოიყენება დასაბეგრი მოგების გაანგარიშებისათვის. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები ჩვეულებრივ აღიარებას ექვემდებარება ყველა დროებითი სხვაობისათვის, ხოლო გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარებას ექვემდებარება იმდენად, რამდენადაც არსებობს საფუძვლიანი მოლოდინი იმისა, რომ იარსებებს დასაბეგრი მოგება, რომელსაც გამოაკლდება გამოსაქვითი დროებითი სხვაობა. აქტივების და ვალდებულებების აღიარება არ ხდება, თუ დროებითი განსხვავება გამოწვეულია გუდვილის, ან აქტივების და ვალდებულებების პირველადი აღიარებით იმ ოპერაციებში (საწარმოთა გაერთიანების გარდა), რომელიც ზემოქმედებას არ ახდენს როგორც საგადასახადო მოგებაზე ასევე ბუღალტრულ მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივების საბალანსო ღირებულება ექვემდებარება გადახედვას ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის და მცირდება იმდენად, რამდენადაც

# საქართველო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შედეგები (ბაზრული)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

აღარ არსებობს საკმარისი დასაბუხარი მოგების მოლოდინი, რომელიც გამოყენებული იქნება ყველა აქტივის ან აქტივების ნაწილის აღსადგენად.

გადავადებული გადასახადის აქტივები და ვალდებულებები იანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთით, რომელიც მოსალოდნელია ვალდებულებების გასტუმრების ან აქტივის რეალიზების პერიოდისათვის იმ საგადასახადო განაკვეთის საფუძველზე (საგადასახადო კანონმდებლობა), რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებებისა და აქტივების შეფასება ასახავს საგადასახადო შედეგებს, რომლებიც მოყვება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბანკის მიერ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების აღდგენას, ან დაფარვას.

### მიმდინარე და გადავადებული გადასახადები მოცემული წლისათვის

მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აისახება მოგება-ზარალში.

### საოპერაციო გადასახადები

საქართველოს ასევე გააჩნია სხვა გადასახადები, რომლებიც განისაზღვრება ბანკის საქმიანობიდან გამომდინარე. ეს გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება როგორც საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

### პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღებაა ნავარაუდები.

### უცხოური ვალუტა

ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბანკის ფუნქციონირებადი ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში (უცხოურ ვალუტაში) განხორციელებული გარიგებები აისახება გარიგების თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული ერთეულები ამ თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით ექვემდებარება გადაფასებას. საკურსო სხვაობები ფულად ერთეულებზე აისახება მოგებასა და ზარალში მათი ფაქტიური განცდის პერიოდში.

ბანკმა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა შემდეგი გაცვლითი კურსები:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
ლარი/1 აშშ დოლარი	1.8636	1.7363
ლარი/1 ევრო	2.2656	2.3891

### უზრუნველყოფა

ბანკი უზრუნველყოფას ითხოვს კლიენტების ვალდებულებებზე, სადაც ეს ითვლება მართებულად. ჩვეულებრივ უზრუნველყოფა გულისხმობს კლიენტის აქტივების დაყვადებას და ბანკს აძლევს ამ აქტივების მოთხოვნის უფლებას, როგორც არსებულ, ასევე მომავალ ვალდებულებებზე.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელვა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალში შენატანები აღიარდება თვითღირებულებით, ხარჯები, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია ახალი აქციების გამოშვებასთან, გარდა საწარმოთა შერწყმისა, მოგების გადასახადის გამოკლებით, ამცირებს კაპიტალს.

### 3. ხელმძღვანელობის განხილვის სფეროები და შეფასების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები

ბანკის ბუღალტრული პოლიტიკის გამოყენებისას, ხელმძღვანელობა ვალდებულია განიხილოს, შეაფასოს და გააკეთოს დაშვებები აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა წყაროებიდან არ იკვეთება. ხელმძღვანელობის შეფასება და შესაბამისი დაშვებები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც მართებულად ითვლება. ფაქტიური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და შესაბამისი დაშვებები გადაიხედება რეგულარულად. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარდება ექვემდებარება იმ პერიოდისათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

#### შეფასების არასარწმუნოების უმთავრესი წყაროები

ქვემოთ წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეფასების არასარწმუნოების მომავალ და სხვა ძირითად წყაროებთან დაკავშირებული შემდეგი უმთავრესი დაშვებები, რომლებიც ატარებს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების არსებითი კორექტირების მნიშვნელოვან რისკს მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

#### სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურება

ბანკი რეგულარულად განიხილავს საკუთარ სესხებსა და მოთხოვნებს გაუფასურების შეფასების მიზნით. გაუფასურების დანაკარგების აღიარების მიზნით ბანკი საკუთარი სესხებისა და მოთხოვნების პორტფელში ადგენს სესხების გაუფასურების რეზერვს. ბანკი სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებულ ბუღალტრულ დაშვებებს მიიჩნევს შეუსაბამობის მთავარ წყაროდ, რადგან (I) არსებობს დიდი ალბათობა მათი პერიოდული ცვლილებისა, იმის გამო რომ მომავალი გადაუხდელობის შეფასება და გაუფასურებულ სესხებთან და ავანსებთან დაკავშირებული დანაკარგების განსაზღვრა დაფუძნებულია იმ პერიოდისთვის არსებულ ინფორმაციაზე და (II) ბანკის მიერ განსაზღვრულ დანაკარგებსა და რეალურ დანაკარგებს შორის ნებისმიერი მნიშვნელოვანი სხვაობა გამოიწვევს ბანკის მხრიდან რეზერვების ისეთ კორექტირებას, რომელმაც მნიშვნელოვანი თანხის შემთხვევაში შეიძლება არსებითი გავლენა იქონიოს მომავალ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბანკი იყენებს ინდივიდუალური და ჯგუფური შეფასების ერთობლიობას გაუფასურების რეზერვის დასადგენად ნებისმიერი ანგარიშგების თარიღისთვის. ინდივიდუალურად ფასდება ის სესხები და მოთხოვნები, რომლებიც მიიჩნევა ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად. სესხები და მოთხოვნები, რომელთა ბალანსი აღემატება საწესდებო კაპიტალის 0.5% -ს მიიჩნევა ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხები და მოთხოვნები, რომლებიც არ არის გაუფასურებული, ისევე როგორც დანარჩენი სესხები და მოთხოვნები, რომელთა ინდივიდუალური შეფასებაც არ მომხდარა, კოლექტიურად ფასდება გაუფასურების დასადგენად. კოლექტიურად შეფასებული სესხები და მოთხოვნები ჯგუფდება საერთო რისკის, მახასიათებლების და ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით და ფასდება შესაბამისად. კოლექტიური შეფასების მეთოდოლოგია ცდილობს უზრუნველყოს, რომ გაუფასურების რეზერვი ითვალისწინებს მომხდარი ზარალის მოვლენებს, რომლებიც არ გამოვლენილა ინდივიდუალური შეფასებისას.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელვა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი ფინანსურ ანგარიშგებაში განისაზღვრა არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების საფუძველზე. ბანკისთვის ამ ეტაპზე რთულია იმის პროგნოზი თუ რა ცვლილებებია მოსალოდნელი ამ პირობებში საქართველოში და რა გავლენა ექნება მომავალ პერიოდში ამ ცვლილებებს ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვის აღქვატურობაზე.

2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლიენტებზე გაცემულმა სესხებმა მთლიანად შეადგინა 133,316,232 და 111,196,113, ლარი შესაბამისად, ხოლო გაუფასურების დანაკარგების რეზერვმა შეადგინა 2,658,296 და 819,029 ლარი შესაბამისად.

### **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მოხმარების პერიოდი**

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების დანაკარგი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასარგებლო მოხმარების ვადის განსაზღვრა ბანკის მენეჯმენტის განხილვის საგანია, რომელიც ემყარება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავს აქტივებთან დაკავშირებით. სასარგებლო მოხმარების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს ძირითადი საშუალებების მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნოლოგიურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. ნებისმიერ აღნიშნულ გარემოებაში ცვლილებამ, შესაძლოა სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირება გამოიწვიოს.

### **გადავადებული საგადასახადო აქტივების აღდგენადობა**

ბანკის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ გადაფასების რეზერვები გადავადებულ საგადასახადო აქტივებთან მიმართებაში ანგარიშგების თარიღისთვის აუცილებელი არ არის; სავარაუდოდ გადავადებული საგადასახადო აქტივები მთლიანად რეალიზდება. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის საბალანსო ღირებულება 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, შეადგენს 399,859 და 103,761 ლარს.

## **4. ახალი და შესწორებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) გამოყენება**

მიმდინარე წელს ბანკმა მიიღო შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

- შესწორებები ფასს 10-ში, ფასს 12-სა და ბასს 27-ში – საინვესტიციო საწარმო
- შესწორებები ბასს 32-ში – ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლა
- შესწორებები ბასს 36-ში – აღდგენადი თანხების განმარტება არასაფინანსო აქტივებისათვის
- შესწორებები ბასს 39-ში – წარმოებული ინსტრუმენტების დათმობა და ჰეჯირების აღრიცხვის უწყვეტობა
- ფასსიკ 21 – მოსაკრებლები

**შესწორებები ბასს 32-ში - ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლა.** ბასს 32-ის შესწორება განმარტავს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. კერძოდ, შესწორება გვისხნის, თუ რა იგულისხმება ფრაზებში “ამჟამად გააჩნია ურთიერთჩათვლის სამართლებრივად აღსრულებადი უფლება” და “ერთდროული რეალიზაცია და ანგარიშსწორება”.

აღნიშნული შესწორებები ბანკის ფინანსურ ანგარიშგებზე არ მოქმედებს, რადგან ბანკს ურთიერთჩათვლადი ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები არ გააჩნია.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

**შესწორება სტანდარტში ბასს 36-ში – ამოღებადი ღირებულების განმარტება არაფინანსური აქტივებისათვის.** ბასს 36-ის შესწორებით აქტივის ან ფულის გამომწეშავებელი ერთეულის ამოღებადი ღირებულების განმარტების ვალდებულება შემოიფარგლება იმ პერიოდით, რომლის დროსაც მოხდა გაუფასურების ზარალის აღიარება ან გაუქმება. გარდა ამისა, ეს შესწორება აფართოებს და განსაზღვრავს განმარტების იმ მოთხოვნას, რომელიც ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც აქტივის ან ფულის გამომწეშავებელი ერთეულის ამოღებადი ოდენობა დადგინდა რეალური ღირებულების საფუძველზე გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ახლად დადგენილი განმარტებები მოიცავს რეალურ ღირებულებათა იერარქიას, ძირითად დაშვებებსა და შეფასების ტექნიკას, რაც ფასს 13 “რეალური ღირებულების განსაზღვრა” სტანდარტით გათვალისწინებულ განმარტებებს შეესაბამება.

ეს შესწორებები ეხება მხოლოდ მე-18 შენიშვნაში წარმოდგენილ განმარტებებს.

**ფასსიკ 21 – მოსაკრებლები.** ეს ინტერპრეტაცია ვრცელდება ხელისუფლების მიერ დაწესებულ ყველა გადახდაზე, გარდა მოგების გადასახადისა, რომელიც ბასს 12-ის კომპეტენციის სფეროა და კანონდარდვებისათვის გათვალისწინებულ ჯარიმებსა და საურავებს. ინტერპრეტაცია განმარტავს, რომ მოსაკრებლის გადახდის ვალდებულების აღიარება მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც მავალდებულებელი მოვლენა დამდგარია. ინტერპრეტაცია გვაძლევს განმარტებას იმაზეც, როგორ უნდა განისაზღვროს, უნდა მოხდეს თუ არა ვალდებულების აღიარება პროგრესულად კონკრეტული პერიოდის განმავლობაში თუ სრულად კონკრეტულ დღეს.

მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, ბანკის პოლიტიკის ცვლილების გარდა, ინტერპრეტაციას რაიმე ზეგავლენა არ მოუხდენია.

ბანკს ვადამდე არ მიუღია რაიმე სხვა სტანდარტი, შესწორება თუ ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ ამოქმედებულა.

## ახალი და რედაქტირებული, გამოქვეყნებული, მაგრამ ძალაში ჯერ არშესული ფასს-ები

ბანკი არ იყენებს შემდეგ ახალ და რედაქტირებულ, გამოქვეყნებულ მაგრამ ძალაში ჯერ არშესულ ფასს-ებს:

- შესწორება ბასს 19-ში – საპენსიო გეგმა დადგენილი გადახდებით: თანამშრომელთა შენატანები<sup>1</sup>;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2010-2012 წლების ციკლი<sup>1</sup>;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2011-2013 წლების ციკლი<sup>1</sup>;
- ფასს-ების წლიური რედაქტირების 2012-2014 წლების ციკლი<sup>2</sup>;
- ფასს 14 – მარეგულირებელი გადავადებული ანგარიშები<sup>2</sup>;
- შესწორებები ბასს 16-სა და ბასს 38-ში – ცვეთისა და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება<sup>2</sup>;
- შესწორებები ბასს 27-ში – წილობრივი მონაწილეობის მეთოდი დამოუკიდებელ ფინანსურ ანგარიშებში<sup>2</sup>;
- შესწორებები ბასს 16 და ბასს 41 – სოფლის მეურნეობა: ნაყოფიანი მცენარეები<sup>2</sup>;
- შესწორებები ფასს 11-ში – ერთობლივ საქმიანობაში წილის შესყიდვის აღრიცხვა<sup>2</sup>;
- შესწორებები ფასს 10-სა და ბასს 28-ში – აქტივების გაყიდვა ან დაბანდება მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში<sup>2</sup>;
- ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან<sup>3</sup>;
- ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ძალაშია 2014 წლის 1 ივლისს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.



# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

<sup>2</sup> ძალაშია 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

<sup>3</sup> ძალაშია 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

<sup>4</sup> ძალაშია 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ვადამდელი გამოყენება დაშვებულია.

**ფასს 15 – შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან.** 2014 წლის მაისში გამოიცა ფასს 15, რომელიც მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 15 ჩაანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის ბასს 18 – შემოსავლები, ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები და მათთან დაკავშირებულ ინტერპრეტაციებს.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გეთავაზობს ერთ, პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტიპიან მოდელს, რომელიც კლიენტებთან გაფორმებული ყველა კონტრაქტზე ვრცელდება:

- კლიენტთან კონტრაქტის იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის მიხედვით, საწარმო შემოსავალს აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელსა თუ მომსახურებაზე “კონტროლი” კლიენტს გადაეცემა. უფრო დირექტიული ხასიათის ინსტრუქცია დაემატა ისეთ თემებს, როგორცაა, მაგალითად, შემოსავლის აღიარების მომენტი, ცვლადი ანაზღაურების აღრიცხვა, კონტრაქტის შესრულებისა და მიღების ხარჯები და სხვა მსგავსი ასპექტები. ასევე შემოღის შემოსავლის განმარტების ახალი მოთხოვნები.

ბანკის ხელმძღვანელობა არ ვარაუდობს, რომ აღნიშნული შესწორებების გამოყენებას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება.

**ფასს 9 - ფინანსური ინსტრუმენტები.** 2009 წლის ნოემბერში გამოქვეყნებული ფასს 9 ახალ მოთხოვნებს აწესებს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის თვალსაზრისით. 2010 წლის ოქტომბერში ფასს 9-ში შევიდა შესწორება, რომელიც ითვალისწინებს მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვისა და აღიარების გაუქმების თვალსაზრისით. 2013 წლის ნოემბერში კი მას დაემატა ახალი მოთხოვნა კუქირების ზოგად აღრიცხვასთან დაკავშირებით. 2014 წლის ივლისში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოაქვეყნა ფასს 9-ის საბოლოო ვერსია. იგი მთლიანობაში მოიცავს ფინანსური აქტივების გაუფასურების მოთხოვნებსა და მცირე შესწორებებს, რომლებიც ფინანსური აქტივების კლასიფიკაციისა და გაზომვის მოთხოვნებს ეხება. ფასს 9 მიზნად ისახავს, ჩაანაცვლოს ბასს 39 – ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა.

ფასს 9-ის ძირითადი მოთხოვნები:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება იმ ბიზნეს-მოდელის მიხედვით, რომელშიც ხდება მათი ფლობა და საკონტრაქტო ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლების გათვალისწინებით.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

კერძოდ, სავალო ინსტრუმენტები, რომლებსაც პირი ფლობს ისეთი ბიზნეს მოდელით, რომლის მიზანი საკონტრაქტო ფულადი სახსრების შეკრებაა და რომელთა საკონტრაქტო ფულადი სახსრები მხოლოდ ძირითადი თანხისა და მის დარჩენილ ნაწილზე დარიცხულ პროცენტს მოიცავს, თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაიზომოს ამორტიზებული ღირებულებით. ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია სავალო ინსტრუმენტების აღრიცხვის ახალი კატეგორია “რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში”. აღნიშნული ეხება სავალო ინსტრუმენტებს, რომლებიც მოქცეულია ისეთ ბიზნეს-მოდელში, რომლის მიზანი მიიღწევა საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეგროვებითა და ფინანსური აქტივების გაყიდვით. აღნიშნულ სავალო ინსტრუმენტებში გათვალისწინებული უნდა იყოს ფინანსური აქტივის საკონტრაქტო პირობები, რომლებიც კონკრეტულ დღეს წარმოშობს ისეთი ფულადი სახსრების მოძრაობას, რაც ძირითადი თანხის გადახდებსაც წარმოადგენს და დარჩენილი თანხის პროცენტის გადახდებსაც. ამგვარი სავალო ინსტრუმენტები, თავდაპირველი აღიარების შემდეგ, იზომება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლებში. ყველა სხვა სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები იზომება რეალური ღირებულებით. გარდა ამისა, ფასს 9-ის მიხედვით, პირს შეუძლია შეუქცევადად წარმოადგინოს კაპიტალში ინვესტიციის (არა სავაჭროდ განკუთვნილისა) რეალური ღირებულების რეტროსპექტიული ცვლილებები და მოგება-ზარალში მხოლოდ დივიდენდური შემოსავლები ასახოს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და გაზომვა.** ფინანსური ვალდებულებები ბასს 39-ის მოთხოვნების მსგავსად კლასიფიცირდება. თუმცა, არსებობს განსხვავება მეწარმე პირის საკრედიტო რისკის გაზომვის მოთხოვნებში. ფასს 9 ითხოვს, რომ ამ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილების ოდენობა წარმოდგენილი იქნეს სხვა სრულ შემოსავლებში, თუ ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილების შედეგების აღიარება სხვა სრულ შემოსავლებში საბუღალტრო შეუსაბამობას შექმნის ან გაზრდის მას მოგება-ზარალში. ფინანსური ვალდებულების საკრედიტო რისკით გამოწვეული რეალური ღირებულების ცვლილება შემდგომში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება.
- **გაუფასურება.** ფასს 9-ის 2014 წლის რედაქციაში შემოტანილია ფინანსური აქტივების გაუფასურების გაზომვის “მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის” მოდელი, რაც ბასს 39-ის გაწეული საკრედიტო დანაკარგის მოდელის საპირისპიროა. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მოდელი მეწარმე პირს ავალდებულებს, ყოველ საანგარიშო დღეს აღრიცხოს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები და მათი ცვლილება ისე, რომ მან ასახოს საკრედიტო რისკის ცვლილება თავდაპირველი აღიარების შემდგომ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, აღარ არის აუცილებელი საკრედიტო დანაკარგის აღიარებას წინ საკრედიტო ხდომილება უსწრებდეს.
- **ჰეჯირების აღრიცხვა.** შემოტანილია ჰეჯირების აღრიცხვის ახალი მოდელი, რომელიც უფრო კარგად შეესაბამება ფინანსური და არაფინანსური რისკის პოზიციების ჰეჯირებისას მეწარმის რისკის მართვის ზომების ხასიათისას. ფასს 9 მეწარმეებს სთავაზობს უფრო მოქნილ მიდგომას ჰეჯირების აღრიცხვის ტრანზაქციების ტიპებთან მიმართებაში. კერძოდ, გაფართოებულია იმ ინსტრუმენტების სახეობათა რიგი, რომლებიც კლასიფიცირდება ჰეჯირების ინსტრუმენტებად და არასაფინანსო ერთეულების რისკის კომპონენტების ისეთი ტიპების რაოდენობა, რომლებიც შეიძლება ჰეჯირების აღრიცხვისთვის გამოვიყენოთ. გარდა ამისა, ეფექტურობის ტესტი გაუქმდა და ჩანაცვლდა “ეკონომიკური ურთიერთობის” პრინციპით. ასევე აღარ არის საჭირო ჰეჯირების ეფექტურობის რეტროსპექტიული შეფასება. შემოტანილია განმარტების გაზრდილი მოთხოვნები მეწარმის რისკის მართვის ღონისძიებებთან დაკავშირებით.
- **აღიარების შეწყვეტა.** ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის მოთხოვნები გადმოტანილია ბასს 39-დან.

სტანდარტი სავალდებულოდ ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს. დასაშვებია მისი ვადად აღრე დანერგვა. ფასს 9-ის გამოყენების შერჩეული მიდგომის გათვალისწინებით, სტანდარტზე გადასვლისას შესაძლებელია, სხვადასხვა მოთხოვნა ანგარიშგების მომზადებისას ერთდროულად კი არ იქნეს გათვალისწინებული, არამედ სხვადასხვა დროს.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელვა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ბანკის ხელმძღვანელობის პროგნოზით, მომავალში ფასს 9-ის გამოყენებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ბანკის ფინანსურ აქტივებთან და ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ნაჩვენებ თანხებზე. თუმცა, დეტალური შემოწმების გარეშე ფასს 9-ის ეფექტზე ადეკვატური მსჯელობა არაგონივრული იქნებოდა.

**შესწორება ბასს 16-სა და ბასს 38-ში – ცვეთისა და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების განმარტება.** ბასს 16-ის შესწორება მეწარმეს უკრძალავს ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვას შემოსავლის საფუძველზე. ბასს 38-ის შესწორებას შემოაქვს გაბათილებადი ვარაუდი, რომ შემოსავალი არ წარმოადგენს არამატერიალური აქტივის ამორტიზაციის სათანადო საფუძველს. ეს ვარაუდი მხოლოდ მაშინ შეიძლება გაბათილდეს, როდესაც არამატერიალური აქტივი გამოხატულია, როგორც შემოსავლის ზომა ან მაშინ, როდესაც შეიძლება ჩვენება, რომ შემოსავალი და არამატერიალური აქტივისგან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მოხმარება ერთმანეთთან ახლო კორელაციაშია.

ეს შესწორება ძალაში შედის პროსპექტიულად და ვრცელდება 2016 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებულ პერიოდებზე.

ამჟამად ბანკი ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებს ცვეთასა და ამორტიზაციას არიცხავს წრფივი მეთოდით. ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასს-ების წლიური რედაქტირების 2010-2012 წლების ციკლი.** ფასს-ების 2010-2012 წლების ციკლი მოიცავს რამდენიმე ქვემოთ მოცემულ შესწორებას.

ფასს 2-ის შესწორება ცვლის “უფლებებით აღჭურვის პირობებისა” და “ბაზრის პირობების” განსაზღვრებას და აზუსტებს “შესრულების პირობისა” და “მომსახურების პირობის” განსაზღვრებას, რომლებიც ამ შესწორების მიღებამდე “უფლებებით აღჭურვის პირობის” ნაწილს წარმოადგენდა.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ პირობითი ანაზღაურება, რომელიც აქტივად ან ვალდებულებად კლასიფიცირდება, უნდა გაიზომოს რეალური ღირებულებით ანგარიშგების დღეს იმის მიუხედავად, არის თუ არა პირობითი ანაზღაურება ფინანსური ინსტრუმენტი ბასს 39 თუ ფასს 9-ის მიხედვით, თუ იგი არაფინანსური აქტივი ან ვალდებულებაა.

ფასს 8 მეწარმე პირს თხოვს, გააკეთოს განმარტება ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ შეფასებებზე საოპერაციო სეგმენტების დაჯგუფების კრიტერიუმებთან დაკავშირებით. იგივე შესწორება განმარტავს, რომ საანგარიშგებო სეგმენტების აქტივების ჯამი მეწარმე პირის აქტივებს მხოლოდ მაშინ უნდა შეუდარდეს, თუ სეგმენტის აქტივები რეგულარულად წარედგინება ძირითადი საოპერაციო გადაწყვეტილებების მიმღებ პირს.

ფასს 13-ის შესწორება განმარტავს, რომ ამ სტანდარტის გამოცემა და ბასს 39-ისა და ფასს 9-ის შემდგომი შესწორებები არ უკარგავს პირს იმის შესაძლებლობას, რომ დისკონტირების გარეშე გაზომოს ისეთი მოკლევადიანი მოთხოვნები და გადასახდელები, რომლებსაც საინვოისე თანხაში საპროცენტო განაკვეთი დადგენილი არ აქვს, თუ დისკონტირების ეფექტი უმნიშვნელოა. ეს შესწორებები ძალაში მყისიერად შესულად ითვლება.

ბასს 16-ისა და ბასს 38-ის შესწორებებით აღმოფხვრილია შეუსაბამობები დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაციის აღრიცხვაში ძირითადი საშუალების ან არამატერიალური აქტივების ერთეულის გადაფასებისას. შესწორებული სტანდარტები განმარტავს, რომ მთლიანი საბალანსო ღირებულება კორექტირდება აქტივის საბალანსო ღირებულების გადაფასების შესაბამისი გზით და რომ დაგროვილი ცვეთა/ამორტიზაცია არის სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის დაგროვილი ცვეთის დანაკარგების გათვალისწინების შემდეგ.

ბასს 24-ის შესწორება განმარტავს, რომ ანგარიშვალდებული პირის დაკავშირებულ მხარედ განიხილება ისეთი მმართველი პირი, რომელიც ამ ანგარიშვალდებულ პირს მმართველობით

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მომსახურებას უწევს. შესაბამისად, ანგარიშვალდებულმა პირმა დაკავშირებულ პირთან განხორციელებულ ტრანზაქციებად უნდა ჩათვალოს ის გადახდილი თუ გადასახდელი თანხები, რომლებიც მას დაეკისრა მმართველი პირის მომსახურების მიღების გამო. თუმცა, ამგვარი ანაზღაურების კომპონენტების განმარტების ვალდებულება მას არ აქვს.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასს-ების წლიური რედაქტირების 2011-2013 წლების ციკლი.** ფასს-ების 2011-2013 წლების ციკლი მოიცავს რამდენიმე ქვემოთ მოცემულ შესწორებას.

ფასს 3-ის შესწორება განმარტავს, რომ ეს სტანდარტი არ ვრცელდება ერთობლივი საქმიანობის ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა ტიპის ერთობლივი საქმიანობის ფორმირების აღრიცხვაზე.

ფასს 13-ის შესწორება განმარტავს, რომ წმინდა პოზიციის საფუძველზე ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის რეალური ღირებულების გაზომვისას არ გაითვალისწინება ყველა ის კონტრაქტი, რომელიც ექცევა და, შესაბამისად, აღირიცხება ბასს 39-ის ან ფასს 9-ის მიხედვით მაშინაც კი, თუ ეს კონტრაქტები არ აკმაყოფილებს ბასს 32-ით განსაზღვრულ, ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების განსაზღვრებას.

ბასს 40-ის შესწორება განმარტავს, რომ ბასს 40 და ფასს 3 ერთმანეთს არ გამორიცხავს და ზოგ შემთხვევაში შეიძლება საჭირო გახდეს ორივე სტანდარტის გამოყენება. ამდენად, საინვესტიციო ქონების შემსყიდველმა პირმა უნდა დაადგინოს, აკმაყოფილებს თუ არა ესა თუ ის ქონება ბასს 40-ისეულ საინვესტიციო ქონების განსაზღვრებას და არის თუ არა ეს ტრანზაქცია საწარმოთა გაერთიანება ფასს 3-ის მიხედვით.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**ფასს-ების წლიური რედაქტირების 2012-2014 წლების ციკლი.** ფასს-ების 2012-2014 წლების ციკლი მოიცავს რამდენიმე ქვემოთ მოცემულ შესწორებას.

ფასს 5-ის შესწორება განმარტავს, რომ აქტივის ან გასასხვისებელი ჯგუფის რეკლასიფიცირება გასაყიდად განკუთვნილის ჯგუფიდან მფლობელთათვის გასანაწილებლად არსებული ჯგუფში ან პირიქით, არ ითვლება რეალიზაციის გეგმის ან მფლობელთათვის განაწილების გეგმის ცვლილებად და რომ უნდა გამოყენებული იქნეს გასხვისების ახალ მეთოდზე მოქმედი კლასიფიკაციის, წარმოდგენისა და გაზომვის მოთხოვნები. გარდა ამისა, ამ შესწორებით, ის აქტივები, რომლებიც არც გასასხვისებელ და არც მფლობელებისათვის გასანაწილებლად არ ითვლება, უნდა ბუღალტრულად ისევე აღირიცხოს, როგორც ის აქტივები, რომლებიც აღარ კლასიფიცირდება გასაყიდად ფლობილად. ეს შესწორებები პროსპექტიულად უნდა იქნეს გამოყენებული.

ფასს 7-ის შესწორება დამატებით განმარტავს, კვლავაც მონაწილეობს თუ არა მომსახურების კონტრაქტი სხვა პირისათვის გადაცემულ აქტივში ასეთ აქტივებთან დაკავშირებული სავალდებულო განმარტებების მიზნებისათვის. გარდა ამისა, ფასს 7-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც გვიხსნის, რომ არ არის სავალდებულო, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთჩათვლის განმარტების მოთხოვნები გათვალისწინებული იქნას მოკლე შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა შუალედური პერიოდისათვის. თუმცა, შესაძლოა საჭირო იყოს ამ განმარტების შეტანა მოკლე შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ბასს 35-ის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით. ეს შესწორებები რეტროსპექტიულად უნდა იქნეს გამოყენებული.

ბასს 19-ის შესწორება განმარტავს, რომ მაღალი ხარისხის კორპორაციული ობლიგაციები, რომლებიც დაქირავების შემდგომი ბენეფიტების დისკონტირების განაკვეთის დასადგენად გამოიყენება, იმავე ვალუტაში უნდა იქნეს გამოშვებული, რომელშიც ბენეფიტის გადახდა

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ხდება. ეს შესწორება მოქმედებს შესწორებების თავდაპირველი გამოყენებისას მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი უახლესი შედარებითი პერიოდის დასაწყისიდან.

ბასს 34-ის შესწორება განმარტავს, რომ ამ სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელიც შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვაგანაა წარმოდგენილი, თუმცა, არ არის შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში, მასში უნდა ჩაერთოს ჯვარედინი მითითებით, შუალედური ფინანსური ანგარიშგებიდან შუალედური ფინანსური ანგარიშგების სხვა ნაწილში, თუ ეს ორივე დოკუმენტი გამოიცემა ერთდროულად და ერთი და იმავე პირობებით.

ბანკის ხელმძღვანელობის აზრით, ამ შესწორებების ამოქმედება არ იქონიებს მნიშვნელოვან ზეგავლენას ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

### 5. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
<b>საპროცენტო შემოსავალი მოიცავს:</b>		
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე:		
-საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებზე	44,938,255	35,734,130
-საპროცენტო შემოსავალი ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც არ არის გაუფასურებული	338,112	912,703
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>45,276,367</b>	<b>36,646,833</b>
საპროცენტო შემოსავალი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ აქტივებზე:		
საპროცენტო შემოსავალი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე	44,938,255	35,734,130
საპროცენტო შემოსავალი ბანკების მიმართ მოთხოვნებზე	204,246	912,703
საპროცენტო შემოსავალი ვადის დაფარვამდე ფლობილ ინვესტიციებზე	133,866	-
<b>სულ საპროცენტო შემოსავალი</b>	<b>45,276,367</b>	<b>36,646,833</b>
<b>საპროცენტო ხარჯი მოიცავს:</b>		
საპროცენტო ხარჯი ამორტიზებული ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებზე:		
საპროცენტო ხარჯი სუბორდინირებულ სესხებზე	(1,393,022)	(1,330,558)
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე	(6,956,500)	(5,070,091)
საპროცენტო ხარჯი კლიენტების დეპოზიტებზე	(164,859)	-
საპროცენტო ხარჯი ბანკების დეპოზიტებზე	(150,164)	-
<b>სულ საპროცენტო ხარჯი</b>	<b>(8,664,545)</b>	<b>(6,400,649)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი საპროცენტო სარგებლის მქონე ფინანსურ აქტივებზე გაუფასურების დანაკარგების რეზერვის ხარჯამდე</b>	<b>36,611,822</b>	<b>30,246,184</b>

**სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელვა)**  
**2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**  
*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

**6. გაუფასურების დანაკარგების რეზერვი**

გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა საპროცენტო სარგებლის მქონე აქტივებზე შეადგენს:

	<u>გაჭრობა</u>	<u>სოფლის მეურნეობა</u>	<u>მომსახურება</u>	<u>წარმოება</u>	<u>სხვა</u>	<u>სულ</u>
<b>1 იანვარი, 2013</b>	<b>306,169</b>	<b>876,122</b>	<b>60,502</b>	<b>134,755</b>	<b>1,883</b>	<b>1,379,431</b>
ალიარებული დამატებითი რეზერვები	471,293	22,599	126,823	4,876	1,764	627,355
აქტივების ჩამოწერა	(705,490)	(533,316)	(143,910)	(126,318)	(3,663)	(1,512,697)
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	153,486	76,350	35,474	58,676	954	324,940
<b>31 დეკემბერი, 2013</b>	<b>225,458</b>	<b>441,755</b>	<b>78,889</b>	<b>71,989</b>	<b>938</b>	<b>819,029</b>
ალიარებული დამატებითი რეზერვები	946,470	1,474,952	1,070,746	522,777	21,342	4,036,287
აქტივების ჩამოწერა	(634,948)	(1,097,536)	(508,814)	(322,525)	(21,249)	(2,585,072)
ჩამოწერილი აქტივების აღდგენა	166,230	121,708	53,750	41,440	4,924	388,052
<b>31 დეკემბერი, 2014</b>	<b>703,210</b>	<b>940,879</b>	<b>694,571</b>	<b>313,681</b>	<b>5,955</b>	<b>2,658,296</b>

**7. წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე**

წმინდა მოგება/(ზარალი) უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე მოიცავს:

	<u>2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</u>	<u>2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</u>
სავაჭრო ოპერაციები, წმინდა	385,293	142,692
საეურსო სხვაობა, წმინდა	311,791	(26,871)
<b>სულ წმინდა მოგება უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე</b>	<b>697,084</b>	<b>115,821</b>

**8. სხვა შემოსავლები**

სხვა შემოსავლები შეადგენს:

	<u>2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</u>	<u>2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის</u>
იურიდიული მომსახურების ანაზღაურება	132,774	83,746
მიღებული გრანტი	92,208	-
სხვა	125,002	33,747
<b>სულ სხვა შემოსავლები</b>	<b>349,984</b>	<b>117,493</b>

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრკელა)  
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
 (ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## 9. პერსონალის ხარჯები

პერსონალის ხარჯები შეადგენს:

	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ხელფასები და პრემიები	13,419,410	11,165,991
ჯანმრთელობის დაზღვევა	444,739	238,487
კორპორაციული მასპინძლობა და გართობა	8,623	8,217
თანამშრომელთა სხვა ბენეფიტები	-	5,677
<b>სულ პერსონალის ხარჯები</b>	<b>13,872,772</b>	<b>11,418,372</b>

## 10. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები მოიცავს:

	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
საოპერაციო იჯარა	2,297,736	1,658,011
მმართველობის მომსახურების ანაზღაურება	1,784,206	1,769,172
როიალტი	1,117,450	870,333
პროფესიული მომსახურება	959,702	560,722
სარეკლამო ხარჯები	607,430	294,801
საკანცელარიო ხარჯები	537,272	489,997
დაცვის ხარჯები	436,648	263,771
კომუნიკაციის ხარჯები	385,593	276,782
იურიდიული მომსახურების ანაზღაურება	375,455	295,666
კომუნალური ხარჯები	242,937	168,650
საწვავის ხარჯები	321,830	283,836
სამივლინებო ხარჯები	201,200	385,339
წარმომადგენლობითი ხარჯები	181,649	94,910
თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება	147,317	67,975
საინკასაციო მომსახურების ხარჯები	137,555	36,758
ძირითადი საშუალებების რემონტი	95,059	46,556
საწვერო გადასახადები	71,884	9,067
დაქირავების ხარჯები	45,210	89,745
დაზღვევის ხარჯები	40,660	14,588
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	32,807	26,554
ფოსტისა და კურიერის მომსახურება	31,923	21,666
სხვა ხარჯები	52,297	86,024
<b>სულ სხვა საოპერაციო ხარჯები</b>	<b>10,103,820</b>	<b>7,810,923</b>

2011 წლის 18 ნოემბერს ბანკსა და ფინკა მიკროსაფინანსო კოოპერატივს შორის გაფორმებული ინტელექტუალური საკუთრების ლიცენზიის ხელშეკრულების საფუძველზე, ბანკს უნდა გადაეხადა როიალტი მომავალში მიღებული საპროცენტო შემოსავლების 5%-ის ოდენობით. 2013 წლის 6 აგვისტოს, როიალტის გაანგარიშების მეთოდი შეიცვალა და განისაზღვრა საოპერაციო შემოსავლის შემდეგი პროცენტობით: 0%, 1.5%, 2% და 3% შესაბამისად, თუ საოპერაციო შემოსავალი ნაკლებია 500,000 აშშ დოლარზე, მერყეობს 500,000 და 1,000,000 აშშ დოლარს შორის, 1,000,000 და 2,500,000 აშშ დოლარს შორის და აღემატება 2,500,000 აშშ დოლარს.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 11. მოგების გადასახადი

ბანკი მისი მიმდინარე მოგების გადასახადის ოდენობასა და აქტივებისა და ვალდებულებების სახით წარმოდგენილი საგადასახადო ბაზისს, ანგარიშობს და აღრიცხავს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე, რომელიც შესაძლოა განსხვავდებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისაგან. იმის გამო, რომ საგადასახადო მიზნებისათვის, გარკვეული ხარჯები არ ექვემდებარება გამოქვითვას, ხოლო გარკვეული შემოსავალი განიხილება როგორც დაუბეგრავი, ბანკს შეიძლება გაუჩნდეს გარკვეული მუდმივი საგადასახადო სხვაობები.

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გადავადებული გადასახადები ასახავს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობების წმინდა საგადასახადო ეფექტებს.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, არსებული დროებითი სხვაობები ძირითადად დაკავშირებულია შემოსავლებისა და ხარჯების აღიარების განსხვავებულ მეთოდებთან/ვადებთან და ასევე გარკვეული სახის აქტივებისა და ვალდებულებების აღრიცხვიანობის სხვაობასთან საბუღალტრო მონაცემებზე დაყრდნობით. მონაცემების შეჯამებისას გამოყენებული საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს კორპორატიულ საგადასახადო 15%-იან განაკვეთს, რომელსაც საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის საფუძველზე კორპორატიული საწარმოები იხდიან დასაბეგრ მოგებაზე (განსაზღვრების მიხედვით).

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები) შეადგენს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
<i>გადავადებული საგადასახადო აქტივები/(ვალდებულებები), რომლებიც წარმოიშვა შემდეგთან დაკავშირებით:</i>		
ძირითადი საშუალებები, არამატერიალური აქტივები	221,579	(67,816)
კლიენტებზე გაცემული სესხები	228,424	151,821
ნასესხები სახსრები	(49,977)	(42,136)
სხვა ვალდებულებები	(167)	61,892
<b>წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>399,859</b>	<b>103,761</b>

კავშირი საგადასახადო ხარჯებსა და ბუღალტრულ მოგებას შორის, 2014 და 2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, აიხსნება შემდეგნაირად:

	2014	2013
მოგება მოგების გადასახადამდე	5,917,342	9,633,558
კანონით განსაზღვრული გადასახადის განაკვეთი (15%)	887,601	1,445,034
წინა წლების მიმდინარე გადასახადთან დაკავშირებით მიმდინარე წელს აღიარებული შესწორება	23,948	(54,418)
მუდმივი სხვაობების საგადასახადო ეფექტი	3,406	98,972
<b>მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>914,955</b>	<b>1,489,588</b>
მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი	1,187,105	1,160,022
სხვა წლების	23,948	(54,418)
მიმდინარე წელს აღიარებული გადავადებული საგადასახადო სარგებელი	(296,098)	383,984
<b>მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>914,955</b>	<b>1,489,588</b>



## სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელევა)  
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
 (ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივი	2014	2013
1 იანვარი - გადავადებული საგადასახადო აქტივი	103,761	487,745
გადავადებული მოგების გადასახადის ნაშთის მოგება-ზარალში აღიარებული ცვლილება	296,098	(383,984)
<b>31 დეკემბერი - გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>399,859</b>	<b>103,761</b>

### 12. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
ნაღდი ფული საღაროში	4,875,998	326,704
საკორესპონდენტო ანგარიშები სხვა ბანკებთან	5,365,992	8,549,309
საკორესპონდენტო ანგარიშები სებ-ში	1,738,186	388,142
სხვა ბანკებში არსებული დეპოზიტები სამ თვეზე ნაკლები თავდაპირველი ვადით	-	796
<b>სულ ფული და ფულის ექვივალენტები</b>	<b>11,980,176</b>	<b>9,264,951</b>

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკებთან საკორესპონდენტო ანგარიშების კონცენტრაციამ, შეადგინა, შესაბამისად, 4,476,793 და 5,372,696 ლარი, შესაბამისად, ერთ არარეზიდენტ და ერთ რეზიდენტ კომერციულ ბანკში.

### 13. მოთხოვნები ბანკების მიმართ

მოთხოვნები ბანკების მიმართ მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
დეპოზიტები სხვა ბანკებში სამ თვეზე მეტი თავდაპირველი დაფარვის ვადით	-	10,678,245
<b>სულ მოთხოვნები ბანკების მიმართ</b>	<b>-</b>	<b>10,678,245</b>

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკების მიმართ მოთხოვნების ბალანსში შემავალი დაგროვილი პროცენტი შეადგენდა 257 ლარს.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს გააჩნდა მოთხოვნები 10,678,245 ლარის ოდენობით ერთი ბანკისგან, რაც აღემატება ბანკის კაპიტალის 5%.

მოთხოვნები ბანკების მიმართ წარმოადგენს მიმდინარე, არგაუფასურებულ თანხებს 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სხვა ბანკებში განთავსებული სახსრები, რომელთა თავდაპირველი ხანდაზმულობის ვადა 3 თვეზე მეტია, წარმოადგენდა რეზიდენტ კომერციულ ბანკთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულების უზრუნველყოფას და ერიცხებოდა წლიური 4% საპროცენტო განაკვეთი, შესაბამისად.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრულზე)  
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის  
 (ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

## 14. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
კლიენტებზე გაცემული სესხები	133,316,232	111,196,113
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(2,658,296)	(819,029)
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>130,657,936</b>	<b>110,377,084</b>

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლების გაუფასურების დანაკარგების რეზერვის მოძრაობა მოცემულია მე-6 შენიშვნაში.

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
<b>დარგობრივი ანალიზი:</b>		
ვაჭრობა	38,402,840	39,455,071
სოფლის მეურნეობა	46,262,999	36,806,640
მომსახურება	31,910,150	17,912,847
წარმოება	16,021,604	15,844,531
სხვა	718,639	1,177,024
	133,316,232	111,196,113
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(2,658,296)	(819,029)
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>130,657,936</b>	<b>110,377,084</b>

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის მიხედვით 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა	მომსახურება	წარმოება	სხვა	სულ
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	3,928,638	215,383	3,097,079	1,537,643	61,482	8,840,225
ფიზიკურ პირთა გარანტიებით უზრუნველყოფილი სესხები	312,045	159,124	39,465	79,569	2,021	592,224
ფიზიკურ პირთა გარანტიებით უზრუნველყოფილი სესხები (ჯს*)	21,103,640	16,543,665	13,190,558	7,671,040	410,333	58,919,236
სხვა უზრუნველყოფა სესხები უზრუნველყოფის გარეშე	-	-	17,116	-	-	17,116
	13,058,517	29,344,827	15,565,932	6,733,352	244,803	64,947,431
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)</b>	<b>38,402,840</b>	<b>46,262,999</b>	<b>31,910,150</b>	<b>16,021,604</b>	<b>718,639</b>	<b>133,316,232</b>
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(703,210)	(940,879)	(694,571)	(313,681)	(5,955)	(2,658,296)
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>37,699,630</b>	<b>45,322,120</b>	<b>31,215,579</b>	<b>15,707,923</b>	<b>712,684</b>	<b>130,657,936</b>

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კლიენტებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულებას ბანკის მიერ მიღებული უზრუნველყოფის მიხედვით 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა	მომსახურება	წარმოება	სხვა	სულ
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	5,264,069	282,531	1,622,703	1,183,952	268,333	8,621,588
ფიზიკურ პირთა გარანტიებით უზრუნველყოფილი სესხები	25,900,734	23,651,646	10,494,073	10,351,864	646,501	71,044,818
ფიზიკურ პირთა გარანტიებით უზრუნველყოფილი სესხები (ჯს*)	1,293,306	1,002,031	205,472	151,697	4,989	2,657,495
სხვა უზრუნველყოფა სესხები უზრუნველყოფის გარეშე	-	-	10,513	-	-	10,513
	6,996,962	11,870,432	5,580,086	4,157,018	257,201	28,861,699
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)</b>	<b>39,455,071</b>	<b>36,806,640</b>	<b>17,912,847</b>	<b>15,844,531</b>	<b>1,177,024</b>	<b>111,196,113</b>
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(225,458)	(441,755)	(78,889)	(71,989)	(938)	(819,029)
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>39,229,613</b>	<b>36,364,885</b>	<b>17,833,958</b>	<b>15,772,542</b>	<b>1,176,086</b>	<b>110,377,084</b>

პროდუქტის ერთ-ერთი კატეგორია, რომელსაც ბანკი სთავაზობს თავის მომხმარებლებს არის ე.წ. ჯგუფური სესხის კატეგორია, რომელიც მოიცავს ჯგუფური სასოფლო და სოლიდარული საკრედიტო ჯგუფის სესხებს. ამ სესხების ძირითადი მახასიეთებელი არის ის, რომ ისინი გაიცემა ინდივიდუალთა მხოლოდ იმ ჯგუფებზე, რომლებიც აიღებენ იურიდიულ ვალდებულებას დაფარონ სესხი პარტნიორთა გადახდისუნარიობის შემთხვევაში.

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
ინდივიდუალური ექსპრეს სესხი	79,282,712	66,313,700
ინდივიდუალური სასოფლო სესხი	46,103,874	35,804,609
ჯგუფური სასოფლო სესხი	159,124	1,002,031
ინდივიდუალური მიკრო სესხი	7,337,421	6,420,310
სოლიდარული საკრედიტო ჯგუფური სესხი	433,101	1,655,463
	133,316,232	111,196,113
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(2,658,296)	(819,029)
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>130,657,936</b>	<b>110,377,084</b>

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს ჰყავდა 33 მსესხებელი (2013 წ: 34 მსესხებელი) სესხის მთლიანი ღირებულებით 40,000 ლარზე მეტი. აღნიშნული სესხების მთლიანი ოდენობა სულ იყო 1,525,769 ლარი (2013 წ: 1,568,524 ლარი), ანუ მთლიანი სესხების პორტფელის 1.14% (2013 წ: 1.41%).

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაბრძელება)

### 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული ყველა სესხი (მთლიანი პორტფელის 100%) გაიცა საქართველოში მოღვაწე ფიზიკურ პირებსა და კომპანიებს, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან გეოგრაფიულ კონცენტრაციას ერთ რეგიონში.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტებზე გაცემული სესხები, რომელთა პირობები განახლდა, შეადგენდა, შესაბამისად, 1,049,950 და 876,762 ლარს. სხვაგვარად ეს სესხები ჩაითვლებოდა ვადაგადაცილებულად ან გაუფასურებულად.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაფარი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი:

	ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა	მომსახურება	წარმოება	სხვა	სულ
<i>ჯგუფურად გაუფასურებული სესხები</i>						
- ვადაგადაუცილებელი	37,144,597	44,345,515	30,647,308	15,479,656	697,120	<b>128,314,196</b>
- 1-30 დღემდე						
ვადაგადაცილებული	478,279	617,465	495,738	203,827	15,670	<b>1,810,979</b>
- 31-60 დღემდე						
ვადაგადაცილებული	175,283	258,641	182,471	77,893	-	<b>694,288</b>
- 61-90 დღემდე						
ვადაგადაცილებული	171,024	205,883	137,635	72,151	2,003	<b>588,696</b>
- 91-180 დღემდე						
ვადაგადაცილებული	389,420	739,731	403,131	110,625	3,846	<b>1,646,753</b>
- 180 დღეზე მეტით						
ვადაგადაცილებული	44,237	95,764	43,867	77,452	-	<b>261,320</b>
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)</b>	<b>38,402,840</b>	<b>46,262,999</b>	<b>31,910,150</b>	<b>16,021,604</b>	<b>718,639</b>	<b>133,316,232</b>
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(703,210)	(940,879)	(694,571)	(313,681)	(5,955)	<b>(2,658,296)</b>
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>37,699,630</b>	<b>45,322,120</b>	<b>31,215,579</b>	<b>15,707,923</b>	<b>712,684</b>	<b>130,657,936</b>

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დასაფარი სესხების საკრედიტო ხარისხის ანალიზი:

	ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა	მომსახურება	წარმოება	სხვა	სულ
<i>ჯგუფურად გაუფასურებული სესხები</i>						
- ვადაგადაუცილებელი	38,919,808	35,929,784	17,689,986	15,651,759	1,175,559	<b>109,366,896</b>
- 1-30 დღემდე						
ვადაგადაცილებული	213,162	342,334	95,783	106,670	-	<b>757,949</b>
- 31-60 დღემდე						
ვადაგადაცილებული	61,401	132,004	58,480	10,797	1,465	<b>264,147</b>
- 61-90 დღემდე						
ვადაგადაცილებული	63,695	108,146	16,732	11,882	-	<b>200,455</b>
- 91-180 დღემდე						
ვადაგადაცილებული	172,406	267,161	44,211	62,478	-	<b>546,256</b>
- 180 დღეზე მეტით						
ვადაგადაცილებული	24,599	27,211	7,655	945	-	<b>60,410</b>
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)</b>	<b>39,455,071</b>	<b>36,806,640</b>	<b>17,912,847</b>	<b>15,844,531</b>	<b>1,177,024</b>	<b>111,196,113</b>
გამოკლებული: გაუფასურების დანაკარგების რეზერვი	(225,458)	(441,755)	(78,889)	(71,989)	(938)	<b>(819,029)</b>
<b>სულ კლიენტებზე გაცემული სესხები</b>	<b>39,229,613</b>	<b>36,364,885</b>	<b>17,833,958</b>	<b>15,772,542</b>	<b>1,176,086</b>	<b>110,377,084</b>

## სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელევა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 15. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

	2014 წლის 31 დეკემბერი		2013 წლის 31 დეკემბერი	
	ნომინალური წლიური საპროცენტო განაკვეთი	თანხა	ნომინალური წლიური საპროცენტო განაკვეთი	თანხა
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	6.80%-10.07%	2,577,153	-	-
<b>სულ დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები</b>		<b>2,577,153</b>		<b>-</b>

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოს ეროვნული ბანკიდან მიღებული რეფინანსირების სესხების უზრუნველყოფად შეტანილი იქნა, შესაბამისად, 1,925,778 და 0 ლარის ოდენობის დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციებზე დაგროვილი პროცენტი შეადგენდა 81,191 და 0 ლარს, შესაბამისად.

### 16. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოიცავს:

	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	კომპიუტერული მოწყობილობები	ავეჯი და საოფისე მოწყობი- ლობები	ტრანს- პორტი	სხვა	სულ
<b>თავდაპირველი ღირებულებები</b>						
1 იანვარი, 2013	376,653	702,211	597,329	301,628	322,385	2,300,206
შესყიდვა	125,969	745,452	215,200	-	406,248	1,492,869
რეალიზაცია	(3,967)	(24,901)	(9,584)	-	(14,806)	(53,258)
<b>31 დეკემბერი, 2013</b>	<b>498,655</b>	<b>1,422,762</b>	<b>802,945</b>	<b>301,628</b>	<b>713,827</b>	<b>3,739,817</b>
შესყიდვა	332,996	912,113	224,439	-	259,548	1,729,096
რეალიზაცია	(10,918)	(36,241)	(13,788)	-	(120,240)	(181,187)
<b>31 დეკემბერი, 2014</b>	<b>820,733</b>	<b>2,298,634</b>	<b>1,013,596</b>	<b>301,628</b>	<b>853,135</b>	<b>5,287,726</b>
<b>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</b>						
1 იანვარი, 2013	(127,756)	(285,060)	(211,674)	(70,380)	(110,567)	(805,437)
დარიცხული ცვეთა შემცირება რეალიზაციის შედეგად	(120,433)	(306,151)	(149,555)	(60,326)	(87,629)	(724,094)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	3,512	18,881	8,638	-	11,750	42,781
<b>31 დეკემბერი, 2013</b>	<b>(244,677)</b>	<b>(572,330)</b>	<b>(352,591)</b>	<b>(130,706)</b>	<b>(186,446)</b>	<b>(1,486,750)</b>
დარიცხული ცვეთა შემცირება რეალიზაციის შედეგად	(146,366)	(472,921)	(185,659)	(60,326)	(230,676)	(1,095,948)
შემცირება რეალიზაციის შედეგად	6,307	41,787	9,293	-	114,391	171,778
<b>31 დეკემბერი, 2014</b>	<b>(384,736)</b>	<b>(1,003,464)</b>	<b>(528,957)</b>	<b>(191,032)</b>	<b>(302,731)</b>	<b>(2,410,920)</b>
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>						
<b>31 დეკემბერი, 2013</b>	<b>253,978</b>	<b>850,432</b>	<b>450,354</b>	<b>170,922</b>	<b>527,381</b>	<b>2,253,067</b>
<b>31 დეკემბერი, 2014</b>	<b>435,997</b>	<b>1,295,170</b>	<b>484,639</b>	<b>110,596</b>	<b>550,404</b>	<b>2,876,806</b>

## სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრკელა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების უწყისში წარმოდგენილი ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი მოიცავს ძირითად საშუალებებსა და არამატერიალურ აქტივებზე დარიცხულ ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯს.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკს არ დაუგირავებია ძირითადი საშუალებები.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილმა აქტივებმა შეადგინა, შესაბამისად, 612,437 და 247,328 ლარი.

#### 17. სხვა აქტივები

სხვა აქტივები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
<b>სხვა ფინანსური აქტივები</b>		
მოთხოვნები	190,254	-
<b>სხვა არაფინანსური აქტივები</b>		
წინასწარ გადახდილი ქირა	365,332	291,130
ავანსები	165,116	248,964
საგადასახადო აქტივები მოგების გადასახადის გარდა	36,636	45,085
თანამშრომლებზე გაცემული ავანსები	841	1,225
არამიმდინარე აქტივების შესყიდვაზე გადახდილი ავანსები	-	20,943
სხვა	49,144	29,998
	617,069	637,345
<b>სულ სხვა აქტივები:</b>	<b>807,323</b>	<b>637,345</b>

#### 18. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს:

	კომპიუტერული პროგრამები და ლიცენზიები	კომპიუტერული პროგრამები შემუშავების პროცესში	სულ არამატერიალური აქტივები
<b>თავდაპირველი ღირებულებით</b>			
1 იანვარი, 2013	569,371	-	569,371
შესყიდვა	385,078	2,191,342	2,576,420
31 დეკემბერი, 2013	954,449	2,191,342	3,145,791
გადაცემა	2,191,342	(2,191,342)	-
შესყიდვა	2,342,012	-	2,342,012
31 დეკემბერი, 2014	5,487,803	-	5,487,803
<b>დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურება</b>			
1 იანვარი, 2013	(306,881)	-	(306,881)
დარიცხული ამორტიზაცია	(181,223)	-	(181,223)
31 დეკემბერი, 2013	(488,104)	-	(488,104)
დარიცხული ამორტიზაცია	(1,787,762)	-	(1,787,762)

## სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გაუფასურების ხარჯი	(714,846)	-	(714,846)
31 დეკემბერი, 2014	(2,990,712)	-	(2,990,712)
<b>წმინდა საბალანსო ღირებულება</b>			
31 დეკემბერი, 2013	<b>466,345</b>	<b>2,191,342</b>	<b>2,657,687</b>
31 დეკემბერი, 2014	<b>2,497,091</b>	<b>-</b>	<b>2,497,091</b>

2014 წლის იანვარში, ბანკმა დაასრულა ძირითადი საბანკო სისტემის დანერგვა და გადაიტანა 2,191,342 ლარი განვითარების პროცესში მყოფი პროგრამული უზრუნველყოფიდან პროგრამული უზრუნველყოფის ვეფუფში. 2014 წლის განმავლობაში, მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ შეეცვალა საბანკო სისტემა 2 წლის შემდეგ. აქედან გამომდინარე, საბანკო სისტემის სასარგებლო გამოყენების ვადად ბანკმა განსაზღვრა 2 წელი.

2014 წლის იანვარში ბანკმა დამატებით შეიძინა ახალი საბანკო სისტემის ფუნქციონირების საშუალებები, თუმცა ტექნიკური პრობლემების გამო მათი ინტეგრირება საბანკო სისტემაში შესაძლებელი გახდა მხოლოდ 2014 წლის დეკემბერში. შესაბამისად, ანგარიშგების თარიღისთვის ბანკმა ეს ფაქტი გაუფასურების ინდიკატორად მიიჩნია და ერთი თვის ამორტიზაციას დაამატა 11 თვის გაუფასურება.

#### 19. მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
<b>წარმოებული ფინანსურ ინსტრუმენტები:</b>		
-სავალუტო სვოპი	162,586	-
<b>მთლიანად მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>162,586</b>	<b>-</b>

ბანკის წარმოებული ინსტრუმენტებით ვაჭრობა ძირითადად უკავშირდება სავალუტო სვოპების სახის გარიგებებს სხვა ბანკებთან. პერიოდულად ბანკი იღებს პოზიციას გაცვლითი კურსის ხელსაყრელი მოძრაობიდან მოგების მიღების მიზნით. სავალუტო სვოპის საშუალო განაკვეთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 5%.

ეს ფინანსური ინსტრუმენტები ხშირად მოიცავს დიდ რისკს და არის ძალიან მერყევი. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაქტის საფუძველად არსებული აქტივის ღირებულებაში, საპროცენტო განაკვეთისა ან ინდექსის ზომაში მომხდარმა მცირე ცვლილებამ შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს ბანკის მოგებაზე ან ზარალზე.

#### 20. ბანკების დეპოზიტები

ბანკების დეპოზიტები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
ბანკებისა და სხვა საფინანსო ინსტიტუტების ვალიანი დეპოზიტები	3,195,002	-
მოკლევადიანი სესხები სუბ-ისგან	1,729,133	-
<b>სულ ბანკების დეპოზიტები</b>	<b>4,924,135</b>	<b>-</b>

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაბრკელება)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკების დეპოზიტების ბალანსში შესული დაგროვილი პროცენტი შეადგენდა 42,074 და 0 ლარს, შესაბამისად.

### 21. კლიენტების დეპოზიტები

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
<b>სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები</b>		
- ვადიანი დეპოზიტები	2,586,933	-
<b>ფიზიკური პირები</b>		
- მიმდინარე/საანგარიშსწორებო ანგარიშები	2,941,582	-
- ვადიანი დეპოზიტები	-	-
<b>სულ კლიენტების დეპოზიტები</b>	<b>5,528,515</b>	<b>-</b>

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლიენტთა დეპოზიტების ბალანსში შესული დაგროვილი პროცენტი შეადგენდა 91,002 და 0 ლარს, შესაბამისად.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციების ვადიანი დეპოზიტები შედგებოდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დეპოზიტისგან 2,586,933 ლარის ოდენობით. ქვეყნის ეკონომიკის გრძელვადიანი სახსრებით უზრუნველსაყოფად, საქართველოს მთავრობა, 2014 წლის 7 თებერვლის № 7 ბრძანების შესაბამისად, გამოსცემს სახაზინო ობლიგაციებს, რომელთა შექმნაც შეუძლიათ კომერციულ ბანკებს დადგენილ ლიმიტებში. ბრძანების შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ვალდებულია განათავსოს გამოუთხოვადი დეპოზიტი ობლიგაციის შემქმნ კომერციულ ბანკში, ობლიგაციის თანხის და ვადის ოდენობით. საპროცენტო განაკვეთი გამოუთხოვად დეპოზიტებზე 1%-ით აღემატება საპროცენტო განაკვეთს სახაზინო ობლიგაციებზე. როგორც მე-15 შენიშვნაშია აღნიშნული, 2014 წლის განმავლობაში ბანკმა შეიძინა ასეთი სახაზინო ობლიგაციები და დააკლასიფიცირა, როგორც ვადის ბოლომდე ფლობილი ინვესტიციები.

### 22. ნასესხები სახსრები

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნასესხები სახსრები მოიცავს:

	დაუფარავი თავდაპირველ ლარი	ნაწილი ვალუტაში აშშ დოლარი	დაუფარავი ნაწილი ლარი
უცხოური ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები	30,786,840	54,175,947	84,962,787
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები	5,576,543	-	5,576,543
სამთავრობო დაწესებულებები	3,070,953	-	3,070,953
<b>სულ ნასესხები სახსრები</b>	<b>39,434,336</b>	<b>54,175,947</b>	<b>93,610,283</b>

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნასესხები სახსრები მოიცავს:

	დაუფარავი თავდაპირველ ლარი	ნაწილი ვალუტაში აშშ დოლარი	დაუფარავი ნაწილი ლარი
უცხოური ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები	10,233,975	56,064,119	66,298,094
ადგილობრივი ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები	10,203,804	-	10,203,804
საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები	7,338,786	1,428,015	8,766,801
სამთავრობო დაწესებულებები	3,725,550	-	3,725,550
<b>სულ ნასესხები სახსრები</b>	<b>31,502,115</b>	<b>57,492,134</b>	<b>88,994,249</b>



# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელვა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნასესხები სახსრების ბალანსში შესული დაგროვილი პროცენტი შეადგენდა 1,155,228 და 902,274 ლარს, შესაბამისად.

ბანკი ვალდებულია, შეასრულოს ზემოაღნიშნულ სუბორდინირებულ სესხთან დაკავშირებული ფინანსური შეთანხმებები, რაც მოიცავს დადგენილ კოეფიციენტებს, სესხი/კაპიტალის კოეფიციენტებსა და ფინანსური მომგებიანობის ზოგიერთ სხვა მანკვნიბებს. 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში ბანკს ეს შეთანხმებები არ დაურღვევია.

2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის ბანკმა დაარღვია საერთაშორისო ფინანსური კორპორაციის მიერ დადგენილი შემდეგი კოეფიციენტი – ეკონომიკური ჯგუფის რისკის კოეფიციენტი არა უმეტეს პირველადი კაპიტალის 20%-ისა. ბასს 1 –ის “ფინანსური ანგარიშგების წარდგენა” მიხედვით, მანეჯმენტმა დააკლასიფიცირა საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისგან ნასესხები სახსრები როგორც მიმდინარე ვალდებულება და 30-ე შენიშვნაში ასახა, როგორც 1 თვემდე ვადის მქონე, ლიკვიდურობის რისკის მართვის წარდგენის მიზნებისთვის. 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საერთაშორისო ფინანსური კორპორაციისგან ნასესხები სახსრების ბალანსი შეადგენდა 6,671,731 ლარს.

### 23. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები მოიცავს:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
<b>სხვა ფინანსური ვალდებულებები:</b>		
გადასახდებლები	506,316	-
სხვა ოპერაციების ანგარიშსწორება	139,456	45,294
ხელმძღვანელობის მომსახურების ანაზღაურება ფინკა მიკროსაფინანსო კოოპერატივისათვის	106,165	212,949
პროფესიული მომსახურების ანაზღაურება ფინკა მიკროსაფინანსო კოოპერატივისათვის გადასახდელი როიალტები	75,742	82,334
დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახდელი სხვა გადასახადი	-	126,258
გადასახდელი ქირა	50,908	-
გადასახდებები დაქირავებული პირების მიმართ	15,234	618,799
	970,187	1,231,475
<b>სხვა არასაფინანსო ვალდებულებები:</b>		
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	118,161	117,527
მიღებული ავანსები	-	52,655
სხვა	34,359	20,717
	1,122,707	1,422,374
<b>სულ სხვა ვალდებულებები</b>	<b>1,122,707</b>	<b>1,422,374</b>

ყველა ზემოაღნიშნული ვალდებულება უნდა დაიფაროს წლის ბოლოდან 12 თვეზე ნაკლებ პერიოდში.

## სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრკელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 24. სუბორდინირებული სესხი

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული სესხი მოიცავდა შემდეგ თანხებს:

	დაუფარავი თავდაპირველ ლარი	ნაწილი ვალუტაში აშშ დოლარი	დაუფარავი ნაწილი ლარი
სუბორდინირებული სესხი ფინანსური ინსტიტუტებიდან	6,669,394	5,700,640	12,370,034
<b>სულ სუბორდინირებული სესხი</b>	<b>6,669,394</b>	<b>5,700,640</b>	<b>12,370,034</b>

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული სესხი მოიცავდა შემდეგ თანხებს:

	დაუფარავი თავდაპირველ ლარი	ნაწილი ვალუტაში აშშ დოლარი	დაუფარავი ნაწილი ლარი
სუბორდინირებული სესხი ფინანსური ინსტიტუტებიდან	6,695,733	5,281,799	11,977,532
<b>სულ სუბორდინირებული სესხი</b>	<b>6,695,733</b>	<b>5,281,799</b>	<b>11,977,532</b>

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული სესხის ბალანსში შესული დაგროვილი პროცენტი შეადგენდა 480,943 და 346,770 ლარს, შესაბამისად.

ბანკის გაკორტების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, აღნიშნული სესხი დაიფარება ყველა სხვა კრედიტორის მიმართ ბანკის ვალდებულებების გადახდის შემდეგ.

ბანკი ვალდებულია, შეასრულოს ზემოაღნიშნულ სუბორდინირებულ სესხთან დაკავშირებული ფინანსური შეთანხმებები, რაც მოიცავს დადგენილ კოეფიციენტებს, სესხი/კაპიტალის კოეფიციენტებსა და ფინანსური მომგებიანობის ზოგიერთ სხვა მაჩვენებელს. 2014 და 2013 წლების 31 დეკემბერს დასრულებულ წლებში ბანკს რაიმე ამგვარი შეთანხმება არ დაურღვევია.

### 25. სააქციო კაპიტალი

2013 წლის 24 იანვარს ბანკმა სააქციო კაპიტალი 12,003,200 ლარით გაზარდა.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ავტორიზებული და გამოშვებული სააქციო კაპიტალი შედგებოდა, შესაბამისად, 2,297 და 2,297 ჩვეულებრივი აქციისაგან, თითოეული ნომინალური ღირებულებით 8,800 ლარის ოდენობით.

2014 და 2013 წლებში ბანკმა გამოაცხადა და გადაიხადა, შესაბამისად, 4,310,909 და 3,399,829 ლარის ღირებულების დივიდენდები.

### 26. ბარანტიები და პირობითი ვალდებულებები

ბანკი ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში კლიენტების მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს არასაბალანსო რისკებით. აღნიშნული ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სხვადასხვა ხარისხის საკრედიტო რისკს, არ არის ასახული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ბანკი არასაბალანსო ვალდებულებებთან მიმართებაში იმავე საკრედიტო და მართვის პოლიტიკით ხელმძღვანელობს, რომელსაც საბალანსო ოპერაციებში იყენებს.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელევა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნდა პირობით ვალდებულებებზე ზარალის რეზერვი.

**კაპიტალური ვალდებულებები** – 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს არ გააჩნდა არსებითი ოდენობის კაპიტალური ვალდებულებები.

**ვალდებულებები საოპერაციო იჯარაზე** – ს.ს. "ფინკა ბანკ საქართველოს" საოპერაციო იჯარით აღებული აქვს რამდენიმე ოფისი. იჯარა ჩვეულებრივ 3-5 წელი გრძელდება და ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების გაგრძელების საშუალებას ითვალისწინებს. საიჯარო გადახდები ყოველ 2-3 წელიწადში იზრდება საბაზრო ფასების პარალელურად. ზოგ შეთანხმებაში გათვალისწინებულია იჯარის დამატებითი გადახდები, რომლებიც ადგილობრივი ფასების ინდექსის ცვლილებას ეფუძნება.

ქვემოთ მოცემულია სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახადები დაქირავებული ოფისების საოპერაციო იჯარის ისეთი ხელშეკრულებებით, რომელთა გაუქმება შეუძლებელია:

	31 დეკემბერი, 2014	31 დეკემბერი, 2013
1 წელზე ნაკლები	3,796,132	1,648,795
1 წლის შემდეგ, არა უგვიანეს 5 წლისა	10,199,501	3,543,597
<b>სულ საოპერაციო იჯარის ვალდებულებები</b>	<b>13,995,633</b>	<b>5,192,392</b>

**სასამართლო დავები** – პერიოდულად და ბიზნესის ჩვეული მსვლელობისას ბანკი პრეტენზიებს იღებდა საკუთარი კლიენტებისა და კონტრაგენტებისაგან. ხელმძღვანელობის აზრით რაიმე არსებითი დაურიცხავი ზარალი არ არის მოსალოდნელი და შესაბამისად წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ გათვალისწინებულია არანაირი რეზერვის ხარჯი.

**გადასახადები** – საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბანკის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ბანკს შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

ასეთი უზუსტობა დამატებით შეიძლება უკავშირდებოდეს კლიენტებზე გაცემული სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების დანაკარგების რეზერვისა და რეზერვის აღდგენაში დროებითი სხვაობების შეფასებას და დასაბეგრი მოგების შემცირებას. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

ამგვარი უზუსტობა შეიძლება გამოწვეული იყოს ფინანსური ინსტრუმენტების/წარმოებულების საგადასახადო დამუშავებითა და საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების შეფასების მიზნებისათვის ტრანზაქციების საბაზრო ფასის დადგენით. მან შეიძლება ასევე თავი იჩინოს დროებით საგადასახადო სხვაობებში, რომლებიც სესხის გაუფასურების რეზერვის გამო წარმოიქმნა, ხოლო მოგების გადასახადის ვალდებულება საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება საგადასახადო ბაზისის არასაკმარის დეკლარირებად ჩათვალოს. ბანკის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ დაარიცხეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი ყველა გადასახადი და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო.

საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების შეფასების მარეგულირებელი ქართული კანონმდებლობა 2014 წლის 1 იანვარს შეიცვალა. მასში გაჩნდა ანგარიშგებისა და

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

დოკუმენტაციის წარდგენის ახალი მოთხოვნები. ახალი ნორმატივებით საგადასახადო ორგანოს უფლება ეძლევა, გარკვეულ ტრანზაქციებს დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. ასეთი ტრანზაქციები, სხვათა რიგში, მოიცავს ტრანზაქციებს დაკავშირებულ მხარეებთან, თუ ორგანომ ჩათვალა, რომ ტრანზაქციის ფასი საბაზრო გარიგებით არ დადგენილა. შეუძლებელია იმ ზეგავლენის ზუსტად დადგენა, რასაც საგადასახადო ორგანოების მხრიდან ბანკის საერთაშორისო კონტროლირებადი ოპერაციების შეფასების პოზიციების ეჭვქვეშ დაყენება გამოიწვევს.

**საოპერაციო გარემო** – ბანკის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. ქვეყნის საქმიან გარემოზე მოქმედი კანონმდებლობა და მარეგულირებელი წესები ხშირად იცვლება, რამაც შეიძლება რისკის ქვეშ დააყენოს ბანკის აქტივები პოლიტიკური და ბიზნეს გარემოს შესაძლო უარყოფითი ცვლილების გამო.

საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც ნაკლებია განვითარებულ ბაზარზე, მათ შორის ეკონომიკური, პილიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკებით. როგორც წარსულში ხდებოდა, რეალურ, ან მოსალოდნელ ფინანსურ პრობლემებს, ან განვითარებად ეკონომიკაში ინვესტიციების ჩადებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი რისკების ზრდას შეეძლო უარყოფითად ემოქმედა საქართველოში საინვესტიციო კლიმატზე და ზოგადად საქართველოს ეკონომიკაზე.

შედეგად, წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი, და სხვა კანონიერი და ფისკალური დაბრკოლებები სირთულეებს უქმნის საქართველოში ამჟამად მოქმედავ საწარმოებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

2014 წელს დსთ-ის ქვეყნების ეკონომიკა მშფოთვარე პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების არეალში აღმოჩნდა. ამან საქართველოს ეკონომიკაზეც მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია.

სავალუტო ბაზარი არასტაბილური იყო და ქართული ლარი აშშ დოლართან მიმართებაში მნიშვნელოვნად გაუფასურდა.

საქართველოში ეკონომიკური ვითარების სტაბილიზება დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებული აღმოჩნდება საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევა, საქართველოს ეკონომიკის სამომავლო მდგომარეობასა და დსთ-ის სივრცეში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე. ამ ძალისხმევისა და მოვლენების შედეგის პროგნოზირება ამჟამად რთულია.

## 27. ბარიერები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24 "განმარტებები დაკავშირებულ მხარეების შესახებ" მიხედვით, დაკავშირებული მხარეები ან გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან არის:

- ა) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის საშუალებით აკონტროლებენ ბანკს ან კონტროლებიან მისი მხრიდან ან მასთან ერთად იმყოფებიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს დამფუძნებლებს, შვილობილ კომპანიებს და იმავე დამფუძნებლის შვილობილ სტრუქტურებს); ბანკში გააჩნიათ წილი, რაც მათ ანიჭებს ბანკზე მნიშვნელოვან ზეგავლენას; და ახორციელებენ ბანკზე ერთობლივ კონტროლს;
- ბ) ბანკის ან მისი დამფუძნებლის უმადლესი ხელმძღვანელობის წევრები;
- გ) ა) ან ბ) პუნქტში მოხსენიებული რომელიმე პირის ოჯახის წევრი;

**სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრკელა)**

**2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

დ) მხარეები, რომლებიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან ექვემდებარება მნიშვნელოვან ზეგავლენას ბ) ან გ) პუნქტში მოხსენიებული რომელიმე პირის მხრიდან, პირდაპირ ან ირიბად, ან რომელშიც ასეთი პირი ხმათა უფლებების მნიშვნელოვან წილს ფლობს.

თითოეულ დაკავშირებულ მხარესთან არსებული ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის ხასიათს, არსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ბანკსა და დაკავშირებულ მხარეებს შორის განხორციელებული ოპერაციების შესახებ:

	31 დეკემბერი, 2014		31 დეკემბერი, 2013	
	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ნაშთები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
სხვა ვალდებულებები	181,907	1,122,707	872,979	1,422,374
- დამფუძნებელი	181,907		407,489	
- დამფუძნებლის ან ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელობა	-		451,438	
- პირები საერთო კონტროლის ქვეშ	-		14,052	

ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს:

	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	დაკავშირებული მხარეების ოპერაციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ოპერაციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
<b>უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება:</b>				
- თანამშრომელთა მოკლევადიანი ანაზღაურება	970,085	13,872,772	1,209,581	11,418,372
<b>სულ</b>	<b>970,085</b>	<b>13,872,772</b>	<b>1,209,581</b>	<b>11,418,372</b>

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის მოგება - ზარალის ანგარიშგება მოიცავს შემდეგ თანხებს, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების შედეგად წარმოიშვა:

	2014 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		2013 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	
	დაკავშირებული მხარეების ოპერაციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით	დაკავშირებული მხარეების ოპერაციები	კატეგორია ფინანსური ანგარიშგების მიხედვით
სხვა საოპერაციო ხარჯი	3,247,218	10,184,629	2,766,160	7,810,923
- დამფუძნებელი	2,901,656		2,639,505	
- სხვა დაკავშირებული მხარეები	345,562		126,655	

## სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 28. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ასახვა ხდება ფასს 7-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტება” და ბასს 39-ის “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და გაზომვა” მიხედვით. ფასს-ის განმარტებით რეალური ღირებულება წარმოადგენს თანხას, რომელზეც ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მოსურნე გათვითცნობიერებულ მხარეებს შორის კომერციული ოპერაციის შედეგად შეფასების თარიღისთვის.

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება ბანკის მიერ შეფასდა ხელმისაწვდომ საბაზრო ინფორმაციაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასების მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით. თუმცა, დაშვებების გამოყენება აუცილებელია ბაზრის ინფორმაციის აღქმისას რეალური ღირებულების დასადგენად. საქართველო კვლავ რჩება განვითარებად ბაზრად და ეკონომიკური გარემოებები კვლავაც ზღუდავს აქტივობებს ფინანსურ ბაზარზე. საბაზრო ფასები შეიძლება იყოს მოძველებული ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ტრანზაქციებს, ასე რომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას.

მენეჯმენტმა გამოიყენა ყველა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისას.

#### აქტივები, რომელთა რეალური ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან

**ფული და ფულის ექვივალენტები** - ფული და ფულის ექვივალენტები აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით, რომელიც მიახლოებულია მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან.

**სავალდებულო რეზერვი სებ-ში** - სავალდებულო რეზერვი სებ-ში აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით, რომელიც მიახლოებულია მიმდინარე სამართლიან ღირებულებასთან.

**მოთხოვნები ბანკების მიმართ** - ბანკების მიმართ მოთხოვნების ბალანსი შედგენა სს ფინკა ბანკი საქართველოს მიერ ადგილობრივ ბანკებში წლის ბოლოსთვის განთავსებული თანხებისაგან, რომელთა თავდაპირველი ხანდაზმულობის ვადა 1 წელზე ნაკლებია. აქედან გამომდინარე, ბანკის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ბანკების მიმართ მოთხოვნების ბალანსი, რომელიც აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით, მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებასთან.

**ბანკების დეპოზიტები** - ბანკების დეპოზიტების ბალანსი შედგება სს ფინკა ბანკი საქართველოში ბანკების მიერ წლის ბოლოსთვის განთავსებული თანხებისაგან, რომელთა თავდაპირველი ხანდაზმულობის ვადა 1 წელზე ნაკლებია. აქედან გამომდინარე, ბანკის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ბანკების დეპოზიტების ბალანსი, რომელიც აღიარებულია ამორტიზებული ღირებულებით, მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებასთან.

**სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები** - სხვა ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ძირითადად წარმოდგენილია მოკლევადიანი მოთხოვნების და ვალდებულებებისაგან, შესაბამისად მათი მიმდინარე ღირებულება მიიჩნევა რეალური ღირებულების გონივრულ შეფასებად.

იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც რეგულარულად არ აღირიცხება რეალური ღირებულებით (მაგრამ რომლებთან დაკავშირებითაც საჭიროა რეალური ღირებულების განმარტება).

**კლიენტებზე გაცემული სესხები** - ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების რეალური ღირებულება განისაზღვრება, როგორც მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დადისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადები, რომლებიც მიიღება მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის ვადის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისაგან.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია ვალუტაზე, ინსტრუმენტის ვადასა და მეორე მხარის საკრედიტო რისკზე.

**დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები** - დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების რეალური ღირებულება განისაზღვრება საყოველთაოდ აღიარებული ფასდადების მოდელის შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებს დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზს მსგავსი ინსტრუმენტებისთვის მიმდინარე საბაზრო ტრანზაქციების ფასის გამოყენებით.

**კლიენტების დეპოზიტები** - მოკლევადიანი დეპოზიტების შემთხვევაში მიიჩნევა, რომ მათი მიმდინარე ღირებულება მიახლოებულია მათ რეალურ ღირებულებასთან. იგივე დაშვება გამოიყენება მოთხოვნამდე დეპოზიტების და უვადო მიმდინარე ანგარიშების შემთხვევაში. გრძელვადიანი დეპოზიტების რეალური ღირებულება შეფასდა, როგორც მიმდინარე საბაზრო განაკვეთით დადისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადები, რომლებიც მიიღება მსგავსი საკრედიტო რისკისა და დაფარვის ვადის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისაგან. შეფასებისას გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი შეესაბამებოდა ბანკის საკრედიტო რისკს და ასევე დამოკიდებული იყო ფინანსური ინსტრუმენტის ვალუტასა და ხანდაზმულობაზე.

### სუბორდინირებული სესხი და ნასესხები სახსრები

სუბორდინირებული სესხისა და ნასესხები სახსრების რეალური ღირებულების შეფასება ხდება დისკონტირებული ფულადი სახსრების ანალიზზე დაყრდნობით მიღებული საფასო მოდელის შესაბამისად, რომლებიც დაფუძნებულია ანალოგიურ ინსტრუმენტებთან მიმართებაში არსებულ საბაზრო გარიგებებზე. ცვალებადი განაკვეთის მქონე სესხების შემთხვევაში, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მიმდინარე განაკვეთი საბაზრო განაკვეთის ტოლია. გარდა ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახული ინფორმაციისა, ხელმძღვანელობის აზრით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებასთანაა მიახლოებული.

	რეალური ღირებულების იერარქია	2014 წლის 31 დეკემბერი		2013 წლის 31 დეკემბერი	
		მიმდინარე ღირებულება	რეალური ღირებულება	მიმდინარე ღირებულება	რეალური ღირებულება
კლიენტებზე გაცემული სესხები	მე-3 დონე	130,657,936	127,906,025	110,377,084	110,377,084
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	მე-2 დონე	2,577,153	2,620,084	-	-
კლიენტების დეპოზიტები	მე-3 დონე	5,528,515	5,573,169	-	-
ნასესხები სახსრები	მე-3 დონე	93,610,283	93,752,892	88,994,249	88,994,249
სუბორდინირებული სესხი	მე-3 დონე	12,370,034	12,796,719	11,977,532	11,977,532

### იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულება, რომლებიც რეგულარულად აღირიცხება რეალური ღირებულებით

ბანკის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ნაწილი ფასდება რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი შეიცავს ინფორმაციას, თუ როგორ ხდება აღნიშნული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასება (კერძოდ, შეფასების მეთოდოლოგია და გამოყენებული პარამეტრები)

## სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელევა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური ვალდებულებები	რეალური ღირებულება		რეალური ღირებულების იერარქია	შეფასების მეთოდოლოგია და ძირითადი პარამეტრები	მნიშვნელოვანი პარამეტრები, რომლებზე დაკვირვება ვერ ხერხდება	კაგშირი რეალურ ღირებულება და იმ პარამეტრებს შორის, რომლებზე დაკვირვება ვერ ხერხდება
	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი				
1) წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	162,586	-	მე-2 დონე	დადისკონტირებული ფულადი ნაკადები. მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები ფასდება ფორვარდულ გაცვლით კურსსა კონტრაქტის ფორვარდულ კურსზე დაყრდნობით, რომელიც დადისკონტირებულია იმ საპროცენტო განაკვეთით, რომელიც ითვალისწინებს მეორე მხარის საკრედიტო რისკს.	-	-



## სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელვა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 29. კაპიტალის რისკის მართვა

ბანკი საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე ფუნქციონირების გაგრძელება, რათა სესხებისა და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მაქსიმალური გახადოს აქციონერების უკუგება.

კაპიტალის მართვის პროცესისთვის ბანკი იყენებს შიდა კაპიტალის ადეკვატურობის პროცესს, რაც მოიცავს კაპიტალის საჭიროების შეფასებას ბიზნეს გარემოსთან, ზრდასა და სტრატეგიულ/საოპერაციო გეგმებთან მიმართებაში.

შიდა კაპიტალის ადეკვატურობის პროცესი საშუალებას იძლევა შეფასდეს მნიშვნელოვანი პოტენციური ცვლილებები რისკის პროფილში და აქედან გამომდინარე, მომავალი გადახდისუნარიანობის საჭიროება. შიდა კაპიტალის ადეკვატურობის პროცესის შედეგი გამოიყენება კაპიტალის გეგმის განსაზღვრისას. კაპიტალის გეგმა აისახება ბიუჯეტირების მიზნებისთვის მომზადებულ ბანკის 5 წლიან ფინანსურ გეგმებში. გარდა ამისა, აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აფასებს კაპიტალის სტრუქტურას, იძლევა რეკომენდაციებს და ახორციელებს კაპიტალის ადეკვატურობის მართვას, რისკის მართვის საქმიანობის ფარგლებში.

შიდა კაპიტალის ადეკვატურობის პროცესი მოიცავს ეკონომიკური კაპიტალის შეფასებას, რაც წარმოადგენს იმ კაპიტალის განსაზღვრას, რომელიც ბანკს დასჭირდება გაუთვალისწინებელი ზარალის შემთხვევაში. ბანკის ეკონომიკური კაპიტალი დგინდება იმ ზღვარზე, რომ 99% რწმუნებულებით შესაძლებელი იყოს ზარალის დაფარვა მომავალი ერთი წლის განმავლობაში. ეკონომიკურ კაპიტალს ბანკი ითვლის საკრედიტო, საბაზრო (რომელიც შეიცავს არასავაჭრო საპროცენტო განაკვეთის რისკს), საოპერაციო და რეპუტაციის რისკისთვის. ბანკი რეგულარულად ახდენს ეკონომიკური კაპიტალის მეთოდოლოგიის გაგრძობას და უსადაგებს მიღებულ შედეგებს გარე წყაროებს.

“ფინკა ინთერნეიშენალის” კაპიტალის ბაზრის ჯგუფი უზრუნველყოფს ფინკას ქსელისთვის და/ან ინდივიდუალური შვილობილი კომპანიებისთვის ფინანსების კომერციულ წყაროებს (სესხსა და კაპიტალს).

ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მონიტორინგი ხდება ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტებით.

სებ-ის მიერ დადგენილი მიმდინარე კაპიტალით ბანკები ვალდებული არიან: ა) ფლობდნენ სააქციო კაპიტალის მინიმალურ დონეს - 12,000,000 ლარი; ბ) შეინარჩუნონ საზედამხედველო კაპიტალის რისკების მიხედვით შეწონილ აქტივებთან კოეფიციენტი („საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი“) დადგენილი 12% ან მეტი და გ) შეინარჩუნონ პირველადი კაპიტალის რისკების მიხედვით შეწონილ აქტივებთან კოეფიციენტი (პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი) დადგენილი 8% ან მეტი.

2014 წლის ივნისიდან მოყოლებული, ზემოთ ნახსენები კოეფიციენტების გარდა, ბანკები ვალდებული არიან, გამოითვალონ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 2013 წლის 28 ოქტომბრის კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების მარეგულირებელი წესის შესაბამისად, რომელიც ითხოვს, რომ ბანკმა შეინარჩუნოს (ა) ძირითადი პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან კოეფიციენტი 7% ან მეტი, (ბ) პირველადი კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან კოეფიციენტი 8.5% ან მეტი და, (გ) საზედამხედველო კაპიტალის რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან კოეფიციენტი 10.5% ან მეტი.

სებ-ის მიერ დაწესებული კოეფიციენტების მონიტორინგი ხდება ყოველთვიურად რეპორტების საშუალებით, რომლებიც თავდაპირველად მიმოხილული და ხელმოწერილია ბანკის აღმასრულებელი და ფინანსური დირექტორების მიერ და შემდგომ წარედგინება სებ-ს.

2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკი შესაბამისობაში იყო სებ-ის მიერ დადგენილ კაპიტალის ყველა მოთხოვნასთან.

## სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

### ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაბრკელება)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ქვემოთ მოცემული ცხრილი ანალიზებს ბანკის საზედამხებელო კაპიტალის რესურსებს კაპიტალის ადეკვატურობის მიზნებისთვის, სეზ-ის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ ცალკეულ ანგარიშგებებზე დაყრდნობით:

	2014 წლის 31 დეკემბერი	2013 წლის 31 დეკემბერი
საწესდებო კაპიტალი	20,213,600	20,213,600
გაუნაწილებელი მოგება	12,326,704	9,603,278
გამოკლებული: არამატერიალური აქტივები	(4,277,393)	(466,345)
<b>პირველადი კაპიტალი</b>	<b>28,262,911</b>	<b>29,350,533</b>
პერიოდის მოგება	6,732,189	7,058,718
ზოგადი რეზერვები (არაუმეტეს საკრედიტო და საბაზრო რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 1.25%-ისა	2,244,458	2,108,650
სუბორდინირებული სესხი (პირველადი კაპიტალი 50%-მდე)	-	-
<b>მეორადი კაპიტალი</b>	<b>8,976,648</b>	<b>9,167,369</b>
<b>მთლიანი საზედამხებელო კაპიტალი</b>	<b>37,239,558</b>	<b>38,517,902</b>
<b>რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები</b>	<b>177,544,474</b>	<b>167,907,870</b>
პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	15.9%	17.4%
მთლიანი საზედამხებელო კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	20.9%	22.9%

საზედამხებელო ანგარიშგების მიზნებისთვის ბანკის სუბორდინირებული სესხი არ შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მეორადი კაპიტალის მოთხოვნებს და შესაბამისად არ გაითვალისწინება მთლიანი საზედამხებელო კაპიტალის გაანგარიშებაში.

**კაპიტალის კოეფიციენტები სეზ-ის მოთხოვნების შესაბამისად კაპიტალის ადეკვატურობის ახალი რეგულაციის მიხედვით, შემდეგია:**

**2014 წლის 31  
დეკემბერი**

სააქციო კაპიტალი პირველადი კაპიტალი	17.5%
პირველადი კაპიტალი	17.5%
საზედამხებელო კაპიტალი	18.4%

## სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრკელა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### 30. რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა ფუნდამენტურ როლს ასრულებს საბანკო საქმიანობაში და არის ბანკის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. ბანკის საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკდამოკიდებულებას;
- ლიკვიდობის რისკს;
- საბაზრო რისკს;
- საოპერაციო რისკს;
- კონცენტრაციის რისკს;
- რეპუტაციის რისკს;
- სხვა რისკებს

#### რისკის მართვის სქემა

ბანკი აღიარებს, რომ მნიშვნელოვანია ორგანიზაციაში ქმედითი და ეფექტური რისკის მართვის პროცესების არსებობა. ამისათვის ბანკმა დაადგინა რისკის მართვის სქემა, რომლის უმთავრესი მიზანია ბანკი დაიცვას რისკისაგან და საშუალება მისცეს მას, მიაღწიოს საკუთარ მიზნებს.

ბანკის რისკის მართვის ამოცანებისა და პოლიტიკის დადგენაზე ზოგადად ღირეპქტორთა საბჭოა პასუხისმგებელი. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ ფუნქციების გარკვეული და ძირითადი ნაწილი ამ ორგანოშია შენარჩუნებული, ამოცანებისა და პოლიტიკის ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო პროცესების შემუშავება-წარმართვის უფლებამოსილება სხვა ორგანოებზეა დელეგირებული.

ღირეპქტორთა საბჭოს მთავარი ამოცანაა ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომლის მიზანია რისკების მაქსიმალურად შეზღუდვა ბანკის კონკურენტუნარიანობისა და მოქნილობის შეზღუდვის გარეშე. რისკის მართვის სქემის საშუალებით ბანკი მართავს შემდეგ რისკებს:

რისკის მართვის სისტემა აერთიანებს საშუალებებს, ქმედებებსა და რესურსებს რისკის ეფექტურად იდენტიფიცირების, შეფასებისა და მართვის მიზნით.

მენეჯმენტის საბჭოს დონის რისკის კომიტეტი დაფუძნებულია, რათა მეთვალყურეობა გაუწიოს რისკის მართვის პროცესს, რისკის აპეტიტს და რისკის პოლიტიკებს.

უმთავრესი ბანკის რისკის მართვის პროცესში არის რისკის კულტურა, რომელიც დგინდება მენეჯმენტის მიერ. რისკის კულტურა გაერთიანებულია ბანკის რისკის სტრატეგიაში, რისკის აპეტიტის ანგარიშში და ყოველდღიურ პროცესებში. ანგარიშვალდებულება რისკის მართვისთვის დადგენილია თავდაცვის სამხაზოვანი მოდელით, რათა მიღწეულ იქნას რისკის ეფექტური მართვა. შესაბამისად, რისკის მართვის პასუხისმგებლობა გადანაწილებულია მოწინავე ხაზზე - ბიზნესზე, რისკის მენეჯმენტსა და შიდა აუდიტზე.

#### რისკის სტრატეგია და რისკის აპეტიტი

რისკის სტრატეგია და რისკის აპეტიტი განისაზღვრება და მოწმდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ ბანკის სტრატეგიულ მიზნებზე დაყრდნობით, რათა უზრუნველყოფილ იქნას რისკის, კაპიტალის და შედეგების მიზნობირვი პოზიციების თანხვედრა.

ბანკის ხედვის გათვალისწინებით, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: წარმოადგენდეს გლობალურ ქსელს, რომელიც კოლექტიურად ემსახურება უფრო მეტი დაბალი შემოსავლის მქონე მეწარმეებს, რომლებიც საქმიანობენ კომერციული და მდგრადი განვითარების პრინციპებზე, რისკის მართვის სტრატეგიის მთავარი მიზნები შემდეგია:

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელევა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

- წვლილი შეიტანოს ბანკის ბიზნეს სტრატეგიის განვითარებაში რისკის გათვალისწინებით მომგებიანობის უზრუნველყოფის გზით.
- უზრუნველყოს ბანკის მდგრადი განვითარება რისკების ანალიზის, გაზომვის და მონიტორინგის ეფექტური სისტემის განხორციელების გზით.

ბანკის აღმასრულებელი მენეჯმენტი და ყველა თანამშრომელი მისდევს ბანკის რისკის სტრატეგიის პრინციპებს და ყოველდღიურ გადაწყვეტილებებს იღებს რისკის/გასამრჯელოს მიდგომის მიხედვით.

### საკრედიტო რისკი

ბანკი ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებული რომელიმე მხარე ვერ შეძლებს დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, რის შედეგადაც მეორე მხარეს მიადგება ფინანსური ზარალი.

ბანკის ძირითად საქმიანობას მიკროსესხების გაცემა წარმოადგენს. ამით გამოწვეული მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანის თავიდან ასაცილებლად, საკრედიტო რისკების გამოვლენისა და ეფექტურად მართვის მიზნით, ბანკი სხვადასხვა მეთოდს იყენებს.

რისკის მართვა და მონიტორინგი ხორციელდება დადგენილ ფარგლებში. ამ პროცესებს საკრედიტო კომიტეტი და ბანკის დირექტორთა საბჭო წარმართავს. საკრედიტო კომიტეტის მიერ განაცხადის შეტანამდე საკრედიტო დეპარტამენტი მიმოიხილავს საკრედიტო პროცესის შესახებ არსებულ ყველა რეკომენდაციას (მსესხებელზე დადგენილ ლიმიტს, სასესხო ხელშეკრულების შესწორებას, ა.შ.). რისკის ყოველდღიურ მართვას საკრედიტო დეპარტამენტის უფროსი წარმართავს.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკა დგინდება კრედიტების გაცემის სახელმძღვანელოს მიხედვით, სადაც მკაფიოაა განსაზღვრული ყველა შესაბამისი პროცედურა და მოთხოვნა, ასევე მართვის მექანიზმები, მათ შორის, სესხის გაცემის, ვადაგადაცილებული სესხების მონიტორინგისა და სხვათა ჩათვლით.

საკრედიტო კომიტეტი ანალიტიკური ორგანოა, რომელიც მოვალეა, გაანალიზოს სესხის განაცხადში მოცემული ინფორმაცია, შეაფასოს და მაქსიმალურად შეამციროს საკრედიტო რისკები. იგი დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია, საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს სესხის განაცხადის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე.

ბანკში არსებობს საკრედიტო კომიტეტის სხვადასხვა დონეები სესხის ოდენობის შესაბამისად. მცირე ოდენობის (5,000 ლარზე ან 3,000 აშშ დოლარზე ნაკლები) სესხების დამტკიცებისთვის ალტერნატიულ მეთოდს წარმოადგენს კრედიტ ბიუროების საკრედიტო რეიტინგზე დამყარებით სესხების დამოწმება. საკრედიტო კომიტეტის გადაწყვეტილების მიღების პროცესი სრულად ავტომატიზირებულია. გადაწყვეტილების მიღების ლიმიტები კონტროლდება ავტომატურად MIS-ის მიერ წინასწარ დადგენილი წვდომის დონეების მეშვეობით.

ბანკად გარდაქმნის შემდგომ ბანკი ცდილობს სარწმუნო საკრედიტო პოლიტიკის მიღებას. შიდა კონტროლის დეპარტამენტი რეგულარულად ამოწმებს საკრედიტო ანალიზის ხარისხს. ყველა საკრედიტო აქტივობა მიმართულია მომხმარებელთან გრძელვადიანი ურთიერთობების დამყარებაზე, რათა მიღწეულ იქნას მდგრადი მომგებიანობა და თავიდან იქნას არიდებული ისეთი ზრდა, რომელიც საფრთხის ქვეშ დააყენებს გრძელვადიან სტაბილურობას.

ბანკი აკონტროლებს საკრედიტო რისკს, აღებულს ერთ მსესხებელთან, მსესხებელთა ჯგუფთან ან ერთ საბანკო პროდუქტთან მიმართებაში. ბანკი ყურადღებით ადევნებს თვალყურს ცვლილებებს საკრედიტო პორტფელში. საკრედიტო რისკის შესაფასებლად ბანკი ატარებს სტრესს ტესტებს, სეზონის მიერ მოწოდებული პარამეტრებზე დაყრდნობით. ეს მოიცავს როგორც პირდაპირ საკრედიტო რისკს, ასევე ვალუტით განპირობებულ საკრედიტო რისკს.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელევა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სტრეს ტესტები აჩვენებს, რომ ბანკს ექნება მაღალი მდგრადობა ეკონომიკური დადამსვლის პირობებში. ამასვე მოწმობს კრიზისთან გამკლავების წარსული გამოცდილება.

პორტფელის მაღალი გრანულაციის გამო კონცენტრაცია ინდივიდუალურ მსესხებლებზე ძალიან დაბალია, დარგობრივი კონცენტრაცია კი უფრო რეალურ საკითხს წარმოადგენს, რამდენიმე სექტორში პორტფელის მაღალი კონცენტრაციის გამო. ეს რისკი გათვალისწინებულ იქნა შიდა კაპიტალის ადეკვატურობის პილარ II-ში დამატებითი კაპიტალის მიზნებისთვის.

### საკრედიტო რისკდამოკიდებულების მაქსიმალური ოდენობა

ბანკის მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება ცვალებადია და განპირობებულია როგორც ინდივიდუალური რისკებით, ასევე საბაზრო ეკონომიკასთან დაკავშირებული ზოგადი რისკებითაც.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს საბალანსო ფინანსური აქტივების მაქსიმალურ საკრედიტო რისკდამოკიდებულებას. ბალანსის უწყისში ასახული ფინანსური აქტივების მაქსიმალური რისკდამოკიდებულება უტოლდება აქტივების საბალანსო ღირებულებას გაქვითვამდე ან უზრუნველყოფამდე. პირობითი ვალდებულებებიდან გამომდინარე, მაქსიმალური საკრედიტო რისკდამოკიდებულება იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფა, საპასუხო მოთხოვნები ან გარანტია გაუფასურდა და პირობითი ვალდებულებები ან კრედიტის გაცემის ვალდებულება არ სრულდება, წარმოდგენილია ამ ინსტრუმენტების საკონტრაქტო ღირებულებით.

	მაქსიმალური რისკდამოკიდებულება
<b>2014 წლის 31 დეკემბერი</b>	
ფული და ფულის ექვივალენტები	7,104,178
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	4,973,061
კლიენტებზე გაცემული სესხები	130,657,936
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	2,577,153
სხვა ფინანსური აქტივები	190,254
<b>2013 წლის 31 დეკემბერი</b>	
ფული და ფულის ექვივალენტები	8,938,247
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	4,228,012
მოთხოვნები ბანკების მიმართ	10,678,245
კლიენტებზე გაცემული სესხები	110,377,084

### არასაბალანსო რისკი

არასაბალანსო რისკების სამართავად გამოიყენება რისკის მართვის არსებითად ისეთივე პოლიტიკა, როგორც საბალანსო რისკების შემთხვევაში.

### საკრედიტო რისკის შეფასება

საანგარიშო დღეს სესხზე დანაკარგის განსასაზღვრავად ბანკი ინდივიდუალური და ჯგუფური შეფასებების კომბინაციას მიმართავს. ინდივიდუალურად ფასდება ის სესხები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ითვლება.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვნად ითვლება ის სესხები, რომელთა დასაფარი ნაწილი სააქციო კაპიტალის 0.5%-ს აღემატება. ისეთი სესხები, რომელთაც გაუფასურება არ ერიცხება, აგრეთვე ყველა სხვა სესხი, რომლებიც ინდივიდუალურად არ ფასდება, შედის გაუფასურებაზე ერთობლივად შესამოწმებელი სესხების ჯგუფში. ერთობლივად შესაფასებელი სესხები ჯგუფდება საკრედიტო რისკის მსგავსი მახასიათებლებისა და ვადაგადაცილების სტატუსის მიხედვით და შესაბამისად ფასდება. ერთობლივად შეფასების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს, რომ სესხის დანაკარგის რეზერვში აისახოს დანაკარგის

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

გამომწვევი მოვლენები, რომლებიც უკვე მოხდა, მაგრამ ინდივიდუალური სესხების საფუძველზე ჯერ არ იდენტიფიცირებულა.

აღნიშნულ პროცესში ჩართულია ისტორიული მონაცემებისა და მიმდინარე, დაკვირვებადი მონაცემების ისეთი კომბინაცია, რომელიც არსებულ ვითარებას ასახავს და ბანკს უჩვენებს, თუ რა ზეგავლენა შეიძლება მან სესხების მიმდინარე პორტფელზე მოახდინოს. ისტორიული მონაცემები წარმოადგენს რეალური დანაკარგების განაკვეთების კომპლექსს, რომლებიც იანგარიშება სესხზე ისტორიული დანაკარგების მიგრაციის ანალიზის გამოყენებით. მიმდინარე ეკონომიკური მონაცემები მოიცავს მშპ-ისა და ინფლაციის განაკვეთებს, ვალუტის გაცვლის კურსებსა და სხვა მაჩვენებლებს. მონაცემთა ამ ერთობლიობის გამოყენებით ხელმძღვანელობა ადგენს რეზერვის განაკვეთებს, რომელსაც ბანკი მომდევნო 6 თვის განმავლობაში გამოიყენებს.

მონაცემთა თავდაპირველი სტატისტიკური ანალიზით მიიღება გამოთვლილი ისტორიული დანაკარგების განაკვეთები. სწორედ ეს ისტორიული განაკვეთები გამოიყენება დანაკარგის საბოლოო რეზერვის განაკვეთის გამოსაანგარიშებლად. ბოლოს გაანალიზებული პერიოდი 2011 წლის ნოემბრიდან 2014 წლის ნოემბრამდე.

სეგმენტური მიგრაციის ანალიზი კეთდება ვადაგადაცილების შემდეგი კალათების მეშვეობით:

რისკის კატეგორია	ვადაგადაცილების კალათა
0	მიმდინარე
1	1-30 დღე
2	31-60 დღე
3	61-90 დღე
4	91-180 დღე
5	> 180 დღე

სესხების პორტფელი ჯგუფდება პროდუქტის ხაზისა და სერვის ცენტრების ხაზის მიხედვით. ამგვარი სეგმენტაციის მეშვეობით ბანკი ადგენს ხანდაზმული ან ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასატანი სესხების პროცენტულ წილს. ეს მაჩვენებელი შემდეგ შეყავთ გამოთვლილი გაუფასურების ალბათობებში. სესხის დანაკარგის აღდგენის განაკვეთი პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მე-5 კატეგორიის გამოთვლილ გაუფასურების ალბათობებზე და, ამდენად, გაუფასურების განაკვეთის რისკის ყველა წინა კატეგორიაზე.

2014 წლის განმავლობაში ბანკის რისკის ქვეშ არსებული მოგების წილი, გარკვეული დროებითი და მუდმივი ფაქტორების გამო, მაღალი იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი დროებითი ფაქტორი იყო 2014 წლის იანვარში ახალი საბანკო სისტემის დანერგვა, რამაც დროებით შეაფერხა ვალების დაფარვისა და ამოღების პროცესი. გარდა ამისა, გარკვეული ცვლილებები შევიდა საკრედიტო პერსონალის ბონუსების, სესხების გაცემისა და მონიტორინგის პროცედურებში. ეს უკანასკნელი შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც დროებითი, აგრეთვე მუდმივი ფაქტორების რიცხვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საკრედიტო პროცედურების ყველა ცვლილება ძალზე დადებით შედეგებს მოიტანს, მაგრამ თავდაპირველად ამის გამო რისკის ქვეშ მყოფი მოგების მაჩვენებელი მცირედ გაიზარდა. დაკვირვების ბოლო თერთმეტთვიანი პერიოდის (იანვარი-ნოემბერი) მონაცემებით რისკის ქვეშ მყოფი მოგება > 1 დღეში თითქმის 3-ჯერ გაიზარდა. ვარაუდობენ, რომ სასესხო პორტფელის მთლიანი რისკის პროფილი საქართველოში შექმნილი ზოგადი მაკროეკონომიკური გარემოს შედეგად ასევე გაიზარდება.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წლიური ინფლაცია დაახლოებით 3.5% იყო, ხოლო ქართული ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 7%-ით გაუფასურდა.

ინფლაცია და ქართული ლარის გაუფასურება მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური ინდიკატორია, რომელზეც საქართველოში მოდგაწე მიკრო-ბიზნესები მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული. მათი უმეტესობა ვაჭრობა-მომსახურების დარგში მუშაობს. ეს სფეროები კი პირველადი მოხმარების საქონლის ფასებზე მჭიდროდაა მიბმული.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელევა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ზემოაღნიშნული გარე ფაქტორების გათვალისწინებით, ბანკმა მიგრაციის მოდელში რეზერვის განაკვეთები 10%-ით გაზარდა. ასევე, ანგარიშგების პერიოდისთვის ქართული ლარის გაუფასურების გამო, ბანკმა გამოიყენა მაკორექტირებელი ფაქტორი 320 ათასი ლარის ოდენობით, რათა გაუფასურება გაეთვალისწინებინა სესხის დანაკარგის გაანგარიშებისას.

### გეოგრაფიული კონცენტრაცია

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი აკონტროლებს რისკს საკანონმდებლო და საზედამხებელო სფეროებში და აფასებს მათ გავლენას ბანკის საქმიანობაზე. ამგვარი მიდგომა ბანკს საშუალებას აძლევს მინიმუმამდე დაიყვანოს მოსალოდნელი დანაკარგები, რომელიც საქართველოში საინვესტიციო კლიმატის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს. აქტივების და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია შემდეგია:

	საქართველო	სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები	ეთგო-ს ქვეყნები	31 დეკემბერი, 2014 სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ექვივალენტები	7,503,384	-	4,476,792	11,980,176
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	4,973,061	-	-	4,973,061
კლიენტებზე გაცემული სესხები	130,657,936	-	-	130,657,936
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	2,577,153	-	-	2,577,153
სხვა ფინანსური აქტივები	190,254	-	-	190,254
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>145,901,788</b>	<b>-</b>	<b>4,476,792</b>	<b>150,378,580</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
ბანკების დეპოზიტები	4,924,135	-	-	4,924,135
კლიენტების დეპოზიტები	5,528,515	-	-	5,528,515
ნასესხები სასსრები	3,070,953	-	90,539,330	93,610,283
სხვა ფინანსური ვალდებულებები	254,520	-	715,667	970,187
სუბორდინირებული სესხი	-	-	12,370,034	12,370,034
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>13,778,123</b>	<b>-</b>	<b>103,625,031</b>	<b>117,403,154</b>
<b>წმინდა პოზიცია ფინანსურ ინსტრუმენტებზე</b>	<b>132,123,665</b>	<b>-</b>	<b>(99,148,239)</b>	

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრულა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საქართველო	სხვა არა ეთგო-ს ქვეყნები	ეთგო-ს ქვეყნები	31 დეკემბერი, 2014 სულ
არაწმინდა ღირებულებით ანგარიშსწორება:				
- სავალუტო სვოპი	(162,586)	-	-	(162,586)
<b>წმინდა პოზიცია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე</b>	<b>(162,586)</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>
<b>წმინდა პოზიცია</b>	<b>131,961,079</b>	<b>-</b>	<b>(99,148,239)</b>	<b>-</b>
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ექვივალენტები	9,264,951	-	-	9,264,951
სავალდებულო რეზერვი სვოპ-ში	4,228,012	-	-	4,228,012
მოთხოვნები ბანკების მიმართ	10,678,245	-	-	10,678,245
კლიენტებზე გაცემული სესხები	110,377,084	-	-	110,377,084
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>134,548,292</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>134,548,292</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
ნასესხები სახსრები	13,929,354	-	75,064,895	88,994,249
სხვა ფინანსური ვალდებულებები	708,143	101,791	421,541	1,231,475
სუბორდინირებული სესხი	-	-	11,977,532	11,977,532
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>14,637,497</b>	<b>101,791</b>	<b>87,463,968</b>	<b>102,203,256</b>
<b>წმინდა პოზიცია ფინანსურ ინსტრუმენტებზე</b>	<b>119,910,795</b>	<b>(101,791)</b>	<b>(87,463,968)</b>	<b>-</b>

### უზრუნველყოფა

უზრუნველყოფის მოთხოვნის რაოდენობა და სახეობა დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. უზრუნველყოფის სახეობებისა და შეფასების პარამეტრების განსაზღვრა ხდება დანერგილი ინსტრუქციების საფუძველზე. უზრუნველყოფის ძირითადი სახეობებია:

- კომერციული დაკრედიტების შემთხვევაში უძრავი ქონება, მარაგები, გარანტიები, ტრანსპორტი და მოწყობილობა.
- საცალო დაკრედიტების შემთხვევაში საცხოვრებელი ქონება, გარანტიები, ტრანსპორტი და მოწყობილობა.

ხელმძღვანელობა ახორციელებს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, შესაბამისი ხელშეკრულების მიხედვით დამატებითი უზრუნველყოფის მოთხოვნას და უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების კონტროლს შესაბამისი მიმდინარე გაუფასურების გათვალისწინებით.



# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაბრძნობა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ქვემოთ მოცემულ ცხრილში აღწერილია ბანკის მიერ ფლობილი ისეთი ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგები, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული:

31 დეკემბერი, 2014	AAA	AA	A	BBB	< BBB	შეუფასებელი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	4,476,793	-	2,619,581	7,804	7,104,178
სავალდებულო ნაშთი სებ-ში	-	-	-	-	4,973,061	-	4,973,061
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	-	-	-	-	2,577,153	-	2,577,153
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	190,254	190,254
<b>31 დეკემბერი, 2013</b>							
ფული და ფულის ექვივალენტები	-	-	-	-	8,585,445	352,802	8,938,247
სავალდებულო ნაშთი სებ-ში	-	-	-	-	4,228,012	-	4,228,012
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	-	-	-	10,678,245	-	10,678,245

ბანკი ახორციელებს მრავალ გარიგებას, სადაც კონტრაგენტი არ ფასდება საერთაშორისო შეფასების სააგენტოების მიერ. ბანკმა შეიმუშავა შეფასების შიდა მოდელი. მის მიხედვით იგი განსაზღვრავს კონტრაგენტის რეიტინგს, რომელიც შეიძლება საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების რეიტინგს შეუდარდეს.

საბანკო სექტორი ზოგადად საკრედიტო რისკით ხასიათდება კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ბანკთაშორისი დეპოზიტების არსებობის გამო. კლიენტებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებული რისკები კონცენტრირებულია საქართველოში. საკრედიტო რისკდამოკიდებულების მონიტორინგი რეგულარულად ტარდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ბანკის რისკის მართვის პოლიტიკით დადგენილი საკრედიტო ლიმიტებისა და კრედიტუნარიანობის მოთხოვნების დაცვა.

მცირე და საშუალო ბიზნესებზე გასაცემი სესხების შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით ბანკში შემუშავდა მსესხებლის ქულებით შეფასების მოდელი. ქულებიანი მოდელი მიღებულია სტანდარტული სასესხო პროდუქტებთან დაკავშირებით და მოიცავს მსესხებლის ძირითად ინდიკატორებს: ფინანსური მდგომარეობა, ურთიერთობა მსესხებელთან, მმართველობითი ხარისხი, სამიზნე გამოყენება, ადგილმდებარეობა, საკრედიტო ისტორია, უზრუნველყოფა და სხვა.

კლიენტებზე გაცემული სესხებისგან განსხვავებული ფინანსური აქტივები ფასდება იმ მიმდინარე საკრედიტო რეიტინგით, რომელიც მათ მიენიჭა საერთაშორისო სააგენტოს, მაგ. "ფიტჩის", "სტანდარდ & ფუარზის" და "შუდისგან". მაქსიმალური შესაძლო რეიტინგია AAA. საინვესტიციო ჯგუფის ფინანსური აქტივების რეიტინგი AAA-BBB ფარგლებშია. ამაზე დაბალი რეიტინგის მქონე ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც სპეკულაციური რანგისა.

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების მიერ საქართველოსათვის დადგენილი საკრედიტო რეიტინგი შეესაბამებოდა საინვესტიციო დონეს BB-.

### ლიკვიდობის რისკი

#### ლიკვიდობის რისკის მართვა

ლიკვიდობის რისკი ეხება დეპოზიტების გადინების და სხვა ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. მთავარი დანაყოფი ბანკში, რომელიც ახორციელებს ლიკვიდობის რისკის კონტროლს არის აქტივების და ვალდებულებების

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (გაბრძელება)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მართვის კომიტეტი, რომელიც დგება სულ მცირე ყოველთვიურად. კომიტეტის მიერ წარდგენილი ანგარიშები მოიცავს ფინანსური პოზიციის, მოგება-ზარალის და ფულადი ნაკადების დეტალურ მიმოხილვას სულ მცირე უახლოესი 18 თვის განმავლობაში, რაც საშუალებას იძლევა დეტალურად განისაზღვროს სამომავლოდ ფინანსური სახსრების საჭიროება. ყოველთვიურად ხდება კომიტეტის დოკუმენტებში გამოყენებული გათვლების განახლება.

გარდა სხვა საკითხებისა, ლიკვიდობის მართვის მიზნებისთვის, შეხვედრების დროს, კომიტეტი განიხილავს ლიკვიდობის განრიგს და სამომავლო დაფინანსების განრიგს. ლიკვიდობის საკითხთან დაკავშირებულ კომიტეტის განხილვებს შედეგად მოჰყვება: მომავალი დაფინანსების საჭიროების განსაზღვრა, სავარაუდო ლიკვიდობის წყაროების იდენტიფიცირება (საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან სახსრების პირდაპირი მოზიდვა, ფულის ბაზრის ინსტრუმენტების გამოყენება – ბანკთაშორისი დეპოზიტები, სავალუტო სვოპები, და ა.შ) და მოქმედების გეგმა. გარდა ამისა, კომიტეტი ადგენს შიდა ლიმიტს არასასესხო ლიკვიდობაზე (შეუზღუდავი ფული და ფულის ექვივალენტები) ლიკვიდობის რისკის სამართავად.

მიმდინარე ლიკვიდობა იმართება სახაზინო დეპარტამენტის მიერ, რომელიც აწარმოებს გარიგებებს ფულად ბაზარზე მიმდინარე ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად და ფულადი ნაკადების ოპტიმიზაციისთვის. ბანკი ახორციელებს სამომავლო ფულადი სახსრების ყოველდღიურ მონიტორინგს კლიენტებსა და სხვა ოპერაციებზე, რაც აქტივების/ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს ბანკთაშორისი დეპოზიტებისა და ნასესხები სახსრების მინიმალურ დონეზე, რათა შესაძლებელი იყოს მოულოდნელი ფულადი სახსრების გადინების უზრუნველყოფა. ლიკვიდურობის და საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზი წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში. პრეზენტაცია ემყარება ბანკის მენეჯმენტისთვის შიდა რესურსებით მიწოდებულ ინფორმაციას.

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2014 წლის 31 დეკემბერი სულ
<b>არაწარმოებული ფინანსური აქტივები</b>							
<i>ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლის ინსტრუმენტები</i>							
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	8.46%	27,375	53,816	-	2,495,962	-	2,577,153
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	36.67%	10,864,485	15,943,937	65,476,111	38,368,000	5,403	130,657,936
<b>სულ ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლის აქტივები</b>		10,891,860	15,997,753	65,476,111	40,863,962	5,403	133,235,089
<i>ცვლადი საპროცენტო შემოსავლის ინსტრუმენტები</i>							
ფული და ფულის ექვივალენტები	2%	1,737,936	-	-	-	-	1,737,936
სავალდებულო რეზერვი სვბ-ში	0%	4,973,061	-	-	-	-	4,973,061
<b>სულ ცვლადი საპროცენტო შემოსავლის აქტივები</b>		6,710,997	-	-	-	-	6,710,997
<i>საპროცენტო შემოსავლის არმქონე ფინანსური აქტივები</i>							
ფული და ფულის ექვივალენტები		10,242,240	-	-	-	-	10,242,240
სხვა ფინანსური აქტივები		190,254	-	-	-	-	190,254
<b>სულ საპროცენტო შემოსავლის არმქონე ფინანსური აქტივები</b>		10,432,494	-	-	-	-	10,432,494
<b>სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები</b>		<b>28,035,351</b>	<b>15,997,753</b>	<b>65,476,111</b>	<b>40,863,962</b>	<b>5,403</b>	<b>150,378,580</b>

**სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელევა)**

**2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

<b>არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები</b>							
ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლის ინსტრუმენტები							
ბანკების დეპოზიტები	5.65%	2,429,211	453,828	2,041,096	-	-	<b>4,924,135</b>
კლიენტების დეპოზიტები	9.45%	30,197	60,805	-	2,495,931	-	<b>2,586,933</b>
ნასესხები სახსრები	7.75%	529,095	3,233,359	32,860,238	42,935,876	-	<b>79,558,568</b>
სუბორდინირებული სესხი	11.54%	-	-	350,330	12,019,704	-	<b>12,370,034</b>
<b>სულ ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლის ვალდებულებები</b>		<b>2,988,503</b>	<b>3,747,992</b>	<b>35,251,664</b>	<b>57,451,511</b>	<b>-</b>	<b>99,439,670</b>
ცვლადი საპროცენტო შემოსავლის ინსტრუმენტები							
ნასესხები სახსრები	6.29%	-	538,519	3,882,072	9,631,124	-	<b>14,051,715</b>
<b>სულ ცვლადი საპროცენტო შემოსავლის ვალდებულებები</b>		<b>-</b>	<b>538,519</b>	<b>3,882,072</b>	<b>9,631,124</b>	<b>-</b>	<b>14,051,715</b>
<b>საპროცენტო შემოსავლის არმქონე ვალდებულებები</b>							
კლიენტების დეპოზიტები		2,941,582	-	-	-	-	<b>2,941,582</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები		907,239	62,948	-	-	-	<b>970,187</b>
<b>სულ საპროცენტო შემოსავლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები</b>		<b>3,848,821</b>	<b>62,948</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>3,911,769</b>
<b>სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები</b>		<b>6,837,324</b>	<b>4,349,459</b>	<b>39,133,736</b>	<b>67,082,635</b>	<b>-</b>	<b>117,403,154</b>
საპროცენტო შემოსავლის მგრძობიარობა							
		14,614,354	11,711,242	26,342,375	(26,218,673)	5,403	
<b>ჯამური საპროცენტო პოზიცია</b>		<b>14,614,354</b>	<b>26,325,596</b>	<b>52,667,971</b>	<b>26,449,298</b>	<b>26,454,701</b>	
<b>წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები</b>							
არაწმინდა ღირებულებით ანგარიშსწორება:							
- სავალუტო სვოპები		-	(38,745)	(123,841)	-	-	(162,586)
<b>სულ წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები</b>		<b>-</b>	<b>(38,745)</b>	<b>(123,841)</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>(162,586)</b>
ლიკვიდობის პოზიცია							
		21,198,027	11,609,549	26,218,534	(26,218,673)	5,403	
<b>ლიკვიდობის ჯამური პოზიცია</b>		<b>21,198,027</b>	<b>32,807,576</b>	<b>59,026,110</b>	<b>32,807,437</b>	<b>32,812,840</b>	
საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი							
<b>1 თვემდე</b>	<b>1-დან 3 თვემდე</b>	<b>3 თვიდან 1 წლამდე</b>	<b>1-დან 5 წლამდე</b>	<b>5 წელზე მეტი</b>			<b>2013 წლის 31 დეკემბერი, სულ</b>
<b>არაწარმოებული ფინანსური აქტივები</b>							
ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლის ინსტრუმენტები							
ლაფარვის ვალამდე ფლობილი ინვესტიციები	2.40%	1,714,505	-	-	-	-	<b>1,714,505</b>
პომსმარებლებზე გაცემული სესხები	4.00%	5,469,345	-	5,208,900	-	-	<b>10,678,245</b>
<b>არაწარმოებული ფინანსური აქტივები</b>		<b>7,195,904</b>	<b>14,059,362</b>	<b>57,290,316</b>	<b>31,828,523</b>	<b>2,979</b>	<b>110,377,084</b>

**სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო**

**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრულზე)**

**2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

<b>სულ ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლის ფინანსური აქტივები</b>		14,379,754	14,059,362	62,499,216	31,828,523	2,979	<b>122,769,834</b>
<i>ცვლადი საპროცენტო შემოსავლის ინსტრუმენტები</i>							
ფული და ფულის ექვივალენტები	1.88%	386,612	-	-	-	-	<b>386,612</b>
სავალდებულო რეზერვი სეპ-ში	0%	4,228,012	-	-	-	-	<b>4,228,012</b>
<b>სულ ცვლადი საპროცენტო შემოსავლის აქტივები</b>		<b>4,614,624</b>	-	-	-	-	<b>4,614,624</b>
<i>საპროცენტო შემოსავლის არმქონე ფინანსური აქტივები</i>							
ფული და ფულის ექვივალენტები		7,163,834	-	-	-	-	<b>7,163,834</b>
<b>სულ საპროცენტო შემოსავლის არმქონე ფინანსური აქტივები</b>		<b>7,163,834</b>	-	-	-	-	<b>7,163,834</b>
<b>სულ არაწარმოებული ფინანსური აქტივები</b>		<b>26,158,212</b>	<b>14,059,362</b>	<b>62,499,216</b>	<b>31,828,523</b>	<b>2,979</b>	<b>134,548,292</b>
<b>არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები</b>							
<i>ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლის ინსტრუმენტები</i>							
ნასესხები სახსრები	7.93%	12,764,815	634,441	25,096,026	46,773,417	-	<b>85,268,699</b>
სუბორდინირებული სესხი	11.54%	-	-	346,770	5,179,462	6,451,300	<b>11,977,532</b>
სულ ფიქსირებული საპროცენტო შემოსავლის ვალდებულებები		12,764,815	634,441	25,442,796	51,952,879	6,451,300	<b>97,246,231</b>
<i>ცვლადი საპროცენტო შემოსავლის ინსტრუმენტები</i>							
ნასესხები სახსრები	5.25%	-	411,389	331,167	2,649,332	333,662	<b>3,725,550</b>
<b>სულ ცვლადი საპროცენტო შემოსავლის ფინანსური ვალდებულებები</b>		-	411,389	331,167	2,649,332	333,662	<b>3,725,550</b>
<i>საპროცენტო შემოსავლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები</i>							
სხვა ფინანსური ვალდებულებები		1,075,573	155,902	-	-	-	<b>1,231,475</b>
<b>სულ საპროცენტო შემოსავლის არმქონე ფინანსური ვალდებულებები</b>		<b>1,075,573</b>	<b>155,902</b>	-	-	-	<b>1,231,475</b>
<b>სულ არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები</b>		<b>13,840,388</b>	<b>1,201,732</b>	<b>25,773,963</b>	<b>54,602,211</b>	<b>6,784,962</b>	<b>102,203,256</b>
საპროცენტო შემოსავლის მგრძობიარობა		6,229,563	13,013,532	36,725,253	(22,773,688)	(6,781,983)	
<b>ჯამური საპროცენტო პოზიცია</b>		<b>6,229,563</b>	<b>19,243,095</b>	<b>55,968,348</b>	<b>33,194,660</b>	<b>26,412,677</b>	
ლიკვიდობის პოზიცია		12,317,824	12,857,630	36,725,253	(22,773,688)	(6,781,983)	
<b>ჯამური ლიკვიდობის პოზიცია</b>		<b>12,317,824</b>	<b>25,175,454</b>	<b>61,900,707</b>	<b>39,127,019</b>	<b>32,345,036</b>	

ზემოთ მოცემულ ცხრილში დაფარვამდე დარჩენილი ვადები შეესაბამება კონტრაქტით გათვალისწინებულ ვადებს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლადი საპროცენტო განაკვეთიანი ინსტრუმენტებისათვის მოცემული თანხები შეიცვლება, თუ ცვლადი საპროცენტო

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

განაკვეთის ცვლილება საანგარიშო პერიოდის ბოლოს დადგენილი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებებისგან განსხვავებული იქნება.

შემდგომ ცხრილში მოცემულია ბანკის დარჩენილი საკონტრაქტო ვადიანობა შეთანხმებული დაფარვის პერიოდის მქონე ფინანსური ვალდებულებებისათვის. ცხრილები შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების მიხედვით, იმ უახლესი თარიღის საფუძველზე, როდესაც ბანკს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს. ცხრილებში მოცემულია როგორც საპროცენტო, ასევე ძირითადი თანხის ფულადი ნაკადები. თუ საპროცენტო სარგებელი მცოცავი განაკვეთით იანგარიშება, არადისკონტირებული თანხა მიიღება საანგარიშო პერიოდის ბოლოს საპროცენტო განაკვეთის მრუდების გამოყენებით. საკონტრაქტო ვადიანობა ეფუძნება იმ უახლეს თარიღს, როდესაც ბანკს შეიძლება გადახდა მოეთხოვოს.

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2014 წლის 31 დეკემბერი, სულ
<i>ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით</i>							
ბანკების დეპოზიტები	5.65%	2,479,934	454,969	2,049,315	-	-	4,984,218
კლიენტების დეპოზიტები	9.45%	33,073	85,318	117,588	3,077,567	-	3,313,547
ნასესხები სახსრები	7.75%	578,397	3,384,665	37,426,019	46,115,419	-	87,504,500
სუბორდინირებული სესხი	11.54%	-	-	1,439,367	15,362,011	-	16,801,378
სულ ფინანსური ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		3,091,404	3,924,952	41,032,289	64,554,997	-	112,603,643
<i>ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით</i>							
ნასესხები სახსრები	6.29%	-	586,392	4,514,853	10,634,384	-	15,735,629
სულ ფინანსური ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		-	586,392	4,514,853	10,634,384	-	15,735,629
<i>ინსტრუმენტები საპროცენტო სარგებლის გარეშე</i>							
კლიენტების დეპოზიტები		2,941,580	-	-	-	-	2,941,580
სხვა ფინანსური ვალდებულებები		907,239	62,948	-	-	-	970,187
სულ ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე		3,848,819	62,948	-	-	-	3,911,767
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>		<b>6,940,223</b>	<b>4,574,292</b>	<b>45,547,142</b>	<b>75,189,381</b>	<b>-</b>	<b>132,251,039</b>
	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2013 წლის 31 დეკემბერი, სულ
<i>ინსტრუმენტები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით</i>							
ნასესხები სახსრები	7.93%	14,747,251	1,037,341	27,986,870	50,538,138	-	94,309,600
სუბორდინირებული სესხი	11.54%	-	-	1,502,738	9,546,123	6,654,337	17,703,198
სულ ფინანსური ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით		14,747,251	1,037,341	29,489,608	60,084,261	6,654,337	112,012,798
<i>ინსტრუმენტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით</i>							
ნასესხები სახსრები	5.25%	-	426,381	433,559	3,084,569	355,269	4,299,778

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრულა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საშუალო შეწონილი ეფექტური განაკვეთი	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	2013 წლის 31 დეკემბერი, სულ
სულ ფინანსური ვალდებულებები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით		-	426,381	433,559	3,084,569	355,269	4,299,778
ინსტრუმენტები საპროცენტო სარგებლის გარეშე							
სხვა ფინანსური ვალდებულებები		1,075,573	155,902	-	-	-	1,231,475
სულ ფინანსური ვალდებულებები საპროცენტო სარგებლის გარეშე		1,075,573	155,902	-	-	-	1,231,475
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>		<b>15,822,824</b>	<b>1,619,624</b>	<b>29,923,167</b>	<b>63,168,830</b>	<b>7,009,606</b>	<b>117,544,051</b>

შემდეგი ცხრილი ასახავს ბანკის ლიკვიდურობის ანალიზს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის. ცხრილი აგებულია წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების არადისკონტირებული საკონტრაქტო ფულადი სახსრების შემოდინება/გადინების საფუძველზე, რომლებიც ანგარიშსწორდება ურთიერთგაქვითვის გზით და წარმოებულების არადისკონტირებული ფულადი სახსრების შემოდინება/გადინების საფუძველზე, რომლებიც არ ანგარიშსწორდება ურთიერთგაქვითვის გზით. როდესაც მისაღები ან გადასახდელი თანხა არ არის ფიქსირებული, ანგარიშგებაში ნაჩვენები თანხა განსაზღვრულია დაგეგმილ საპროცენტო განაკვეთებთან მიმართებაში, როგორც ეს ნაჩვენებია შემოსავლის მრუდით ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

	1 თვემდე	1-დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე	5 წელზე ზემთ	31 დეკემბერი, 2014, სულ
მოლიანად დახურული:						
- სავალუტო სვოპებიდან ფულადი სახსრების შემოდინება	-	1,868,195	2,809,492	-	-	4,677,687
- სავალუტო სვოპებიდან ფულადი სახსრების გადინება	-	(1,928,110)	(2,998,018)	-	-	(4,926,127)
<b>ფულადი სახსრების გადინება, წმინდა</b>	<b>-</b>	<b>(59,914)</b>	<b>(188,526)</b>	<b>-</b>	<b>-</b>	<b>(248,440)</b>

### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ საბაზრო განაკვეთების ან ფასების დონის ცვლილება ან მერყეობა გააუარესებს ბანკის მოგებას, კაპიტალს ან საქმიანობის მიზნების მიღწევის უნარს. საბაზრო რისკი მოიცავს საპროცენტო განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს, საკრედიტო სპრედებს, სასაქონლო ფასებსა და კაპიტალის ფასებს, რომელთაც ბანკი იყენებს. ბანკის მიერ რისკების გამოთვლისა და მართვის მეთოდებში, ასევე იმ რისკებში, რომლებიც მასზე ვრცელდება, ცვლილებას ადგილი არ ჰქონია.

ძირითად საბაზრო რისკებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ბანკზე, წარმოადგენს სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკები.

### მგრძობიარობა საპროცენტო განაკვეთის მიმართ

პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასების გზით ბანკი მართავს რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის რისკებს, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას ბაზრის კონიუქტურის ნეგატიური ცვლილებების შედეგად. ბანკის ხელმძღვანელობა ახორციელებს ბანკის ფინანსური საქმიანობის მონიტორინგს, აფასებს ბანკის მგრძობიარობას რეალური ღირებულების საპროცენტო განაკვეთის ცვლილების მიმართ და მის გავლენას ბანკის მომგებიანობაზე.

შემდეგი ცხრილი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ მგრძობიარობის ანალიზს, რომელიც განისაზღვრა საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფინანსური

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მიმართ რისკდამოკიდებულებაზე დაყრდნობით. ისეთი ვალდებულებების შემთხვევაში, რომელთა საპროცენტო განაკვეთი მცოცავია, ანალიზი მზადდება იმის დაშვებით, რომ საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარი ნაწილი მთელი წლის განმავლობაში დასაფარი იყო. 1%-იანი საბაზისო პუნქტიანი ზრდა ან შემცირება გამოიყენება უმაღლესი ხელმძღვანელობისათვის საპროცენტო განაკვეთის რისკზე მოხსენების მომზადების შემთხვევაში და წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთების გონივრულად შესაძლო ცვლილების ხელმძღვანელობისეულ შეფასებას.

საპროცენტო განაკვეთები რომ 1%-იანი საბაზისო პუნქტით მაღალი/დაბალი ყოფილიყო, ყველა სხვა ცვლადი კი მუდმივ დონეზე შენარჩუნებულიყო, 2014 და 2013 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლების მოგება გაიზრდებოდა/შემცირდებოდა, შესაბამისად, 264,547/(264,547) ლარით და 264,126/(264,126) ლარით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი იზომება გამომუშავების და ეკონომიკური ღირებულების მიდგომებით. ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, რომელიც ორივე მოდელისთვის გამოიყენება, არის საპროცენტო განაკვეთის შოკი. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისთვის საპროცენტო განაკვეთის შოკის პარამეტრებად შეირჩა 2%, ხოლო ლარში დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებებისთვის – 3%. ლარისთვის შოკის პარამეტრი შეირჩა 99% რისკის ქვეშ არსებული ღირებულება ბოლო 3 წლის განმავლობაში TIBR1-ის ყოველდღიურ განაკვეთებზე დაყრდნობით. TIBR1 ხელმისაწვდომია დღიურად და ნაწილობრივ ასახავს საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების ტენდენციას. საპროცენტო განაკვეთის რისკი გამომუშავების მიდგომის მიხედვით ანგარიშობს საპროცენტო განაკვეთის შოკის გავლენას ბანკის მოგებაზე მომავალი 12 თვის განმავლობაში საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივებისა და ვალდებულებების ზანდაზმულობასა და გადაფასების სტრუქტურაზე დაყრდნობით.

სხვა მოდელი, რომელიც გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის შოკის გავლენის დასათვლელად ბანკის ეკონომიკურ ღირებულებაზე, არის შეცვლილი ხანგრძლივობის მეთოდი. შოკის პარამეტრები იგივეა. გარდა ამისა, სახსრების საშუალო ხარჯი გამოიყენება შეცვლილი ხანგრძლივობის დასათვლელად. ორივე მეთოდი გამოიყენება არა მარტო რისკების კალიბრაციისთვის, არამედ დამატებითი კაპიტალის განსასაზღვრად, პილარ II კაპიტალის მოთხოვნებისთვის.

### სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. ძირითადი უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების რყევა გავლენას ახდენს ბანკის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე.

აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი სავალუტო რისკს აკონტროლებს ლარის გაუფასურების დადგენილ საფუძველზე და სხვა მაკროეკონომიკური ინდიკატორების საშუალებით ღია სავალუტო პოზიციის მართვით, რაც ბანკს აძლევს საშუალებას, მინიმუმამდე დაიყვანოს ეროვნულ ვალუტასთან მიმართებაში სავალუტო კურსის დიდი ცვალებადობის შედეგად განცდილი დანაკარგები. სახაზინო განყოფილება ახორციელებს ბანკის ღია სავალუტო პოზიციის ყოველდღიურ მონიტორინგს.

## სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრკელა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ბანკის სავალუტო რისკდამოკიდებულება წარმოდგენილია ცხრილში:

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 1. 8636 ლარი	ევრო 1 ევრო = 2. 2656 ლარი	დეკემბერი 31, 2014 სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ექვივალენტები	4,013,301	7,488,183	478,692	11,980,176
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	-	4,972,968	93	4,973,061
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	2,577,153	-	-	2,577,153
კლიენტებზე გაცემული სესხები	87,331,162	43,326,774	-	130,657,936
სხვა ფინანსური აქტივები	190,254	-	-	190,254
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>94,111,870</b>	<b>55,787,925</b>	<b>478,785</b>	<b>150,378,580</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
ბანკების დეპოზიტები	4,470,307	-	453,828	4,924,135
კლიენტების დეპოზიტები	4,811,331	716,618	566	5,528,515
ნასესხები სახსრები	39,434,094	54,176,189	-	93,610,283
სუბორდინირებული სესხი	6,691,790	5,678,244	-	12,370,034
სხვა ფინანსური ვალდებულებები	191,571	764,589	14,027	970,187
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>55,599,093</b>	<b>61,335,640</b>	<b>468,421</b>	<b>117,403,154</b>
<b>ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>38,512,777</b>	<b>(5,547,715)</b>	<b>10,364</b>	<b>32,975,426</b>
<b>წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები</b>				
მთლიანად დახურული:				
- სავალუტო სვოპები	(4,823,813)	4,661,227	-	(162,586)
<b>ღია პოზიცია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებზე</b>	<b>(4,823,813)</b>	<b>4,661,227</b>	<b>-</b>	<b>(162,586)</b>
<b>ღია პოზიცია</b>	<b>33,688,964</b>	<b>(886,488)</b>	<b>10,364</b>	<b>32,812,840</b>



# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელეა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 1.7363 ლარი	ევრო 1 ევრო = 2.3891 ლარი	დეკემბერი 31, 2013 სულ
<b>ფინანსური აქტივები</b>				
ფული და ფულის ექვივალენტები	6,138,392	3,080,760	45,799	9,264,951
სავალდებულო რეზერვი სებ-ში	-	4,228,012	-	4,228,012
მოთხოვნები ბანკების მიმართ	-	10,678,245	-	10,678,245
კლიენტებზე გაცემული სესხები	64,207,071	46,170,013	-	110,377,084
<b>სულ ფინანსური აქტივები</b>	<b>70,345,463</b>	<b>64,157,030</b>	<b>45,799</b>	<b>134,548,292</b>
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>				
ნასესხები სახსრები	31,341,434	57,652,815	-	88,994,249
სუბორდინირებული სესხი	6,666,294	5,311,238	-	11,977,532
სხვა ფინანსური ვალდებულებები	190,657	1,036,115	4,703	1,231,475
<b>სულ ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>38,198,385</b>	<b>64,000,168</b>	<b>4,703</b>	<b>102,203,256</b>
<b>ღია საბალანსო პოზიცია</b>	<b>32,147,078</b>	<b>156,862</b>	<b>41,096</b>	<b>32,345,036</b>

### მგრძნობიარობა სავალუტო რისკის მიმართ

შემდეგი ცხრილი დეტალურად წარმოადგენს ბანკის მგრძნობიარობას 20%-იან ზრდასა და შემცირებაზე, ლარის შესაბამის უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისათვის უცხოური ვალუტის რისკზე ანგარიშის წარდგენისას და წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების შეფასებას. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ არსებულ უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად ერთეულს და აკორექტირებს მათ გაცვლით კურსს პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტის განაკვეთის 20%-იანი ცვლილებით. მგრძნობიარობის ანალიზი მოიცავს გარე სესხებსა და სესხებს უცხოური ვალუტით განხორციელებულ ოპერაციებზე ბანკში, სადაც სესხი დენომინირებულია მსესხებლის, ან კრედიტორის ვალუტისაგან განსხვავებულ ერთეულში. ქვემოთ მოცემული პოზიტიური რიცხვი გვიჩვენებს მოგებისა და კაპიტალის ზრდას, სადაც ლარის კურსი მყარდება 20 პროცენტით შესაბამის ვალუტასთან შედარებით. ლარის შესაბამის ვალუტასთან მიმართებაში 20 პროცენტით შესუსტება გამოიწვევს სხვაობის გაველენას მოგებასა და კაპიტალზე და ქვემოთ მოცემული ნაშთები უარყოფითი იქნებოდა.

	2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	აშშ დოლარის გაველენა +20%	-20%	აშშ დოლარის გაველენა +20%	-20%
გაველენა დასაბეგრ მოგებაზე	(177,298)	177,298	31,372	(31,372)
გაველენა კაპიტალზე	(150,703)	150,703	26,666	(26,666)

### მგრძნობიარობის ანალიზის შეზღუდვები

ზემოთ მოცემული ცხრილი ახდენს ძირითად დაშვებებში ცვლილებების შედეგების დემონსტრირებას, ხოლო სხვა დაშვებები რჩება უცვლელი. რეალობაში არსებობს კორელაცია დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის. ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მგრძნობიარობა არ არის წრფივი და უფრო დიდი, ან პატარა გაველენა არ უნდა იქნას ინტერპოლირებული, ან ექსტრაპოლირებული ამ შედეგებიდან გამომდინარე.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელევა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მგრნობიარობის ანალიზი არ ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბანკის აქტივები და ვალდებულებები საკმაოდ აქტიურად იმართება. ამასთან, ბანკის ფინანსური პოზიცია შეიძლება იცვლებოდეს იმ დროისათვის, როდესაც ფაქტიური საბაზრო მოძრაობები იჩენს თავს. მაგალითად ბანკის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგია მიზნად ისახავს საბაზრო რყევებისადმი დამოკიდებულების მართვას. ვინაიდან საინვესტიციო ბაზარს ახასიათებს სხვადასხვა ცვლილებების დონე, მართვის ქმედებებმა შესაძლოა მოიცვას ინვესტიციების გაყიდვა, საინვესტიციო პორტფელის გადანაწილების ცვლილებები და სხვა დაცვითი ღონისძიებების განხორციელება. ამის შედეგად დაშვებებში ცვლილებების ფაქტიურ გავლენას შეიძლება არ ქონდეს ზეგავლენა ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში საბაზრო ღირებულებით აღირიცხებიან. ასეთ გარემოებებში აქტივებისა და ვალდებულებების განსხვავებულმა შეფასებამ შეიძლება მიგვიყვანოს აქციონერების კაპიტალის ცვალებადობასთან.

სხვა შეზღუდვები მგრნობიარობის ანალიზში მოიცავს სავარაუდო საბაზრო მოძრაობების გამოყენებას პოტენციური რისკის დემონსტრირებისათვის, რომელიც წარმოადგენს ბანკის შეზღუდვებს ახლო მომავალში მოსალოდნელ საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დარწმუნებით გათვალისწინება შეუძლებელია და მოსაზრებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთმანეთის მსგავსად იმოქმედებს.

### საფასო რისკი

საფასო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება გახდება მერყევი საბაზრო ფასებში ცვლილებების შედეგად, რაც გამოწვეულია ფაქტორებით, რომლებიც სპეციფიურია ინდივიდუალური ფასიანი ქაღალდისთვის, ან მისი გამომშვებისთვის ან ბაზარზე არსებული ყველა ფასიანი ქაღალდისთვის

ბანკი საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ღონისძიებებისა და მარჯების და უზრუნველყოფის მოთხოვნების დადგენამ და შენარჩუნებამ. გაუნაღებელ სასესხო ვალდებულებებთან მიმართებაში ბანკი პოტენციურად ექვემდებარება ამგვარი ვალდებულებების მთლიანი ოდენობის დანაკარგს. თუმცა, დანაკარგის სავარაუდო ოდენობა ნაკლებია, ვინაიდან პირობითი ვალდებულებების უმეტესობა დამოკიდებულია საკრედიტო ხელშეკრულებების გარკვეულ პირობებზე.

### რეპუტაციის რისკი

რეპუტაციის რისკი არის რისკი, რომელიც შედეგად მოჰყვება ბანკის აქციონერების, კონტრაქტორების, საჯარო თუ საზედამხედველო ხელისუფლების მხრიდან ორგანიზაციის იმიჯის საზიანო აღქმას, მიუხედავად იმისა, სიმართლეს შეესაბამება ეს თუ არა.

რეპუტაციის რისკი იმართება რისკის მართვის დეპარტამენტის მიერ, რომელიც ანგარიშვალდებულია ბანკის რისკის კომიტეტის მიმართ. რისკის მართვის დეპარტამენტი განიხილავს და ამოწმებს ყველა ახალ პროდუქტს და სერვისს, რომელსაც ბანკი სთავაზობს ბაზარს.

რისკის მართვის დეპარტამენტი აგროვებს ინფორმაციას მარკეტინგის დეპარტამენტისგან ყველა სარეპუტაციო რისკთან დაკავშირებულ მოვლენებზე და ანალიზებს ბანკზე მათ გავლენას. გარდა ამისა, რისკის მართვის დეპარტამენტი ღებულობს მომხმარებელთა ყველა საყვედურს და აფასებს მათ.

გამოკითხვები კლიენტთა კმაყოფილების დონის განსასაზღვრავად და მედიის მონიტორინგი ხორციელდება რეგულარულად, რათა დროულად მოხდეს ნებისმიერი რისკის იდენტიფიცირება. არსებული საოპერაციო სისტემები და კონტროლები, ასევე ერთგულ მომხმარებელთა ბაზა, ეხმარება ბანკს რისკების შემცირებაში.

# სააქციო საზოგადოება ფინკა ბანკი საქართველო

## ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები (ბაზრქელევა)

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

### საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს რომელიც წარმოიშობა სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის და გარე მოვლენების შედეგად. თუ კონტროლი არ მუშაობს, საოპერაციო რისკმა შეიძლება ავნოს კომპანიის რეპუტაციას, გამოიწვიოს იურიდიული სირთულეები და ფინანსური ზარალი. ბანკი ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ იგი ცდილობს მართოს აღნიშნული რისკები, დაამყაროს კონტროლი გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით.

რისკის ჯგუფები გამოიყენება არსებულ პროცესებსა და პროდუქტებზე რისკის შესაფასებლად, რათა განისაზღვროს კონტროლების ადეკვატური დონე. ამ პროცესში სხვადასხვა ბიზნეს ერთეულები, ორგანიზაციული დანაყოფები და პროცესთა დინებები დაკავშირებულია რისკის ტიპის მიხედვით. აღნიშნული პროცედურა გამოავლენს არსებულ სისუსტეებს და ეხმარება მენეჯმენტს შემდგომი ნაბიჯების პრიორიტეზირებაში.

იმისათვის, რათა უზრუნველყოს მენეჯმენტისთვის სათანადო პასუხისმგებლობის განაწილება და საოპერაციო რისკის ანგარიშგება, ბანკი იყენებს თავდაცვის სამხაზოვან მოდელს.

*საოპერაციო რისკის მინიმუმანდე დაყვანა ხორციელდება შემდეგი სტრატეგიების მეშვეობით:*

ინციდენტის გამომწვევი მიზეზის ანალიზი - იმისათვის, რათა თავიდან იქნას არიდებული დიდი დანაკარგები, ბანკი ახორციელებს პროცედურას, რომელიც გულისხმობს სისტემის დინების შეფასებას და მაკორექტირებელი ღონისძიებების გატარებას.

დაზღვევა - სადაზღვეო პოლიტიკები გამოიყენება “დაბალი სისშირისა და მაღალი სიმწვავის” ხასიათის მქონე რისკის მესამე მხარისათვის გადასაცემად.

ადეკვატური პროცედურები - ბანკს შემუშავებული აქვს პოლიტიკები და პროცედურები მნიშვნელოვანი საოპერაციო რისკების კონტროლისა და თავიდან აცილების მიზნით.

ანგარიშგაღებულება და მოვალეობების გადაანაწილება - ინტერესთა კონფლიქტის შეფასება, მათი შემცირება იმ ზღვრამდე, რის საშუალებასაც მოცემული საშტატო მოდელი იძლევა და არსებული კონფლიქტების შემამსუბუქებელი კონტროლების გამოყენება ხორციელდება რეგულარულად და ნებისმიერი ახალი ფუნქციის შექმნამდე.

ბიზნესის განგრძობადობის გეგმები - ბიზნესის განგრძობადობის გეგმები გამოიყენება ბანკის უწყვეტი საქმიანობის უზრუნველსაყოფად და ბიზნესისთვის კრიტიკულ პერიოდში დანაკარგების შესამცირებლად.

საოპერაციო რისკის ზღვრები - ზღვრები წესდება მაღალი რისკის მქონე ტრანზაქციებზე, რათა შემცირდეს რისკდამოკიდებულება გარკვეულ პროდუქტებსა და სერვისებზე (მაგალითად, ფულადი სახსრების, სახაზინო და საოპერაციო ზღვრები).

### 31. უმფლობელო მოვლენები

ბანკმა შეიძინა ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებული სახაზინო ობლიგაციები 675,00 ლარის ოდენობით.

2015 წლის 24 თებერვალს, ბანკმა ბანკი IM BISTUM ESSENEG-სგან აიღო სესხი 3,000 ათასი აშშ დოლარის ოდენობით.

2015 წლის იანვარში ბანკმა დაარღვია Responsibility-ის მიერ სასესხო ხელშეკრულებით დადგენილი შეზღუდვა პორტფელის ხარისხზე.

წლის ბოლოს შემდგომ ქართულმა ლარმა გააგრძელა გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ. 2015 წლის 6 მარტის მდგომარეობით, ოფიციალური გაცვლითი კურსით, 1 აშშ დოლარი გაუტოლდა 2.1415 ქართულ ლარს.